ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 23 სექტემბერი, 2019 №225 (8179) ფასი: 60 თეთრი

„ერთ წელს პატარძალს აცდიან და ვაცადოთ პრეზიდენტსაც“

ბეჟან წიქარიძემ სალომე ზურაბიშვილს 60.000 ლარი შესწირა გვ.2

მამუკა გამყრელიძე: „იმაზე, რასაც ახლა გეტყვით, დიდი ამბავი ატყდება“

გვ.3

ეკა გიგაური: „ცდილობენ, გავრილოვის ღამეზე ჯოხი რიგით პოლიციელებზე გადატეხონ“

„პრეზიდენტის შეწყალებაზე კითხვები ჩნდება. 1000 საქმიდან რამდენიმეს ამორჩევა პროტექციის გარეშე შეუძლებელია“ გვ.3

დავით ჭიჭინაძე: „პროპორციული არჩევნები დიდ სიკეთეს არ მოიტანს“ გვ.4

„ეს ერთ კაცს ამოფარებული არჩევნებია“

სოხუმში მღელვარება დაიწყო გვ.4

ასლან ბჟანია: „უკანონო ხელისუფლებასთან არ ვითანამშრომლებ“

სამართალი გვ.5



„დაიცა, თოკი შევიკარი. ველარ ვიხსნი“

რა დაწერა 14 წლის ბიჭმა ჭოგნარში თვითმკვლელობამდე რამდენიმე წუთით ადრე

შსს-მ კამერუნის 2 მოქალაქე დააკავა

უვადო პატიმარმა ბადრი ბექანიძემ პარლამენტს საკონსტიტუციო დავა მოუგო

ISSN 1987-9385

2 გედევან ფოფხაძე ეკა ბესელიასგან წავიდა

6 ჩინელი ჟურნალისტები მარქსიზმში გამოცდას ჩააბარებენ

5 ხულოში 24 წლის ე.ა.-მ 78 აგარაკი გაქურდა

6 ჯო ბაიდენი: „ტრამპი ზელენსკიზე ზეწოლას ახდენდა“

„6 თვე თავი როგორ ვირჩინოთ? 1 ოქტომბერს გავიფიცებით“

წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ბედიანის ფსიქიატრიული დაწესებულების თანამშრომლები 1 ოქტომბერს გაფიცვას გეგმავენ.

როგორც ინტერპრესნიუსს დაწესებულების თანამშრომელმა განუცხადა, დასაქმებულებს, დირექციის გადაწყვეტილებით, 6-თვიან უხელფასო შვებულებაში უშვებენ, რაც, მისივე თქმით, აჩენს ეჭვს, რომ შესაძლოა დაწესებულება საერთოდ დაიხუროს.

ფსიქიატრიული დაწესებულების სანიტარი მალხაზ გულაშვილი ინტერპრესნიუსთან საუბრისას აცხადებს, რომ პაციენტების ნაწილის – გაწერას, ნაწილის კი სხვადასხვა დაწესებულებაში გადაყვანას გეგმავენ.

– 2 დღის წინ დაგვიბარა დირექციამ თანამშრომლები და კრება ჩაგვიტარდა. გვითხრეს, რომ 6-თვიან უფასო შვებულებებში გაგვიშვებენ. დიდი ეჭვი გვაქვს, რომ შესაძლოა, დაწესებულება დაიხუროს. ჩვენი სოფლის გამგებელი იყო მინისტრთან შეხვედრაზე და მან გვითხრა, ძალიან მძიმე ვითარებაა.

6 თვე თავი როგორ ვირჩინოთ? ოჯახები გვყავს, 6 თვე ჩემს შვილს რა ვაჭამო, ბანკის სესხები გვაქვს. ერთადერთი წყაროა ეს საავადმყოფო, რაზეც მთელი სოფელია დამოკიდებული. სოფლიდან 70-მდე ადამიანია აქ დასაქმებული, ყველას შეგვეხება ეს 6-თვიანი უხელფასო შვებულებები. ბენეფიციარების გადაყვანას კონკრეტულად სად აპირებენ, არ ვიცი, როგორც გვითხრეს, სხვადასხვა დაწესებულებებში გადაანაწილებენ, ნაწილს კი გაწერენ. რაც შეეხება ექიმებს, სხვა დაწესებულებებში გადაყვანას გეგმავენ.

ამ ეტაპზე 150-ზე მეტი ბენეფიციარია. რამდენიმე წლის წინაც უნდოდათ დახურვა და საქართველოს პატრიარქის მხარდაჭერით არ დახურეს.

1 ოქტომბერს დიდ გაფიცვას ვაპირებთ, არც ერთი თანამშრომელი არ შევა დაწესებულებაში და არც სხვებს შევუშვებთ, ვინც შეიძლება, ჩვენ მაგივრად აქ მოიყვანონ, – განაცხადა მალხაზ გულაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, საავადმყოფოში საგანგაშო და სავალალო მდგომარეობა არ არის.

– არავითარ უმძიმეს მდგომარეობაში ბენეფიციარები აქ არ არიან. გამოსასწორებელი არის რაღაცები, მაგრამ კვება, სისუფთავე და პირობები ნორმალური აქვთ. ტყუილია, რომ აქ მძიმე მდგომარეობაა. შეგიძლიათ, ჩამოხვიდეთ და ნახოთ აქ არსებული მდგომარეობა, – განაცხადა მალხაზ გულაშვილმა.

❖ ❖ ❖

ფსიქიატრიული დაწესებულების დახურვის შესახებ ინფორმაციას საავადმყოფოს დირექტორმა გიორგი გულაშვილმა დეზინფორმაცია უწოდა.

მან ინტერპრესნიუსს უთხრა, რომ დაწესებულების არა დახურვა, არამედ რეაბილიტაცია იგეგმება, თუმცა, როდის დაიწყება პროცესი, არ დააკონკრეტა.

– არაფერი იხურება, საიდან მოიტანთ ხოლმე ასეთ რაღაცას, დღესაც ჩვეულებრივ მუშაობს. იქ არსებული მდგომარეობა ყველამ იცის. ამის გამო მიდის საუბარი, რომ გარემონტდეს დაწესებულება. დეზინფორმაციაა, რომ იხურება, – განაცხადა გიორგი გულაშვილმა.

მას ინფორმაცია არც თანამშრომლების გაფიცვასთან დაკავშირებით აქვს.

გიორგი გულაშვილის განცხადებით, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ამ დროისთვის მკურნალობის კურსს 150-მდე პაციენტი გადის.

გედევან ფოფხაძე ეკა ბესელიასგან წავიდა

გედევან ფოფხაძე ეკა ბესელიასგან წავიდა.

დეპუტატი ფიქრობს კონსულტაციების დაწყებას პოლიტიკოსებთან და ამბობს, რომ ის ფორმალურად რჩება ეკა ბესელიას პარტიის წევრად, თუმცა პარტიას მალე ოფიციალურად დატოვებს.

გედევან ფოფხაძესთან მიდის ლევან გოგიჩაიშვილიც, რომელიც ასევე მოსამართლეთა სკანდალის გამო გაემიჯნა „ოცნებას“. არ არის გამორიცხული, გოგიჩაიშვილს მმართველი გუნდიდან კიდევ რამდენიმე დეპუტატი გაჰყვეს.

ეკა ბესელია ამბობს, რომ მისი გუნდი არ ითანამშრომლებს მხოლოდ ნაციონალურ მოძრაობასთან, „ევროპულ საქართველოსთან“ და „ქართულ ოცნებასთან“. ბესელია სავარაუდო პარტნიორებად ხაზარაძესა და უსუფაშვილს მოიაზრებს.

– ჩვენ უნდა შევთანხმდეთ, რომ ივანიშვილისა და სააკაშვილის მთავრობა საქართველოს არ სჭირდება, ჩვენ გვჭირდება სახალხო მთავრობა, – აცხადებს გედევან ფოფხაძე.

ის ამბობს, რომ სახალხო მთავრობისთვის აუცილებელი არ არის მისი პირადი ამბიციები. პირველ რიგში მოცემულობა უნდა შეიცვალოს.

– ჩვენ ვმუშაობთ იმისთვის, რომ შედგეს იმ ადამიანების ერთობა, რომელთათვისაც კანონის უზენაესობა და რეფორმები არის უმთავრესი, – აცხადებს ლევან გოგიჩაიშვილი.

გოგიჩაიშვილი ამბობს, რომ მას კონსულტაციები აქვს მმართველი გუნდის წევრებთანაც.

მალხაზ მაჩალიკაშვილი: „ოქტომბრის ბოლოს ხალხი გარეთ გამოვა“



თემირლან მაჩალიკაშვილის მამის, მალხაზ მაჩალიკაშვილის განცხადებით, ოქტომბრის ბოლოს ის ხალხს გარეთ გამოსვლისკენ მოუწოდებს.

აღნიშნულის შესახებ მან პარლამენტთან განაცხადა, სადაც 20-21 ივნისის მოვლენების დროს დაკავებული პირების გათავისუფლების მოთხოვნით კარავი გაშალეს.

– ოქტომბრის ბოლოს დავამთავრებ ხელმოწერების შეგროვებას, შემდეგ დავაანონსებ, რომ ხალხი გამოვიდეს და, ვინც გარეთ გამოვა, სახლში არ წავა, ვიდრე თემირლანის საქმესთან დაკავშირებით ყველაფერს პასუხი არ გაეცემა.

აქ სულ 3 კარავი დგას, ერთი – თემირლანის საქმესთან დაკავშირებით, მეორე – გიორგი მამალაძის საქმეზე, მესამე – „გავრილოვის ღამის“, ივანიშვილის პირადი პატიმრების გათავისუფლების მოთხოვნის მიზნით.

ეს კარვები იქამდე იქნება, სანამ ყველა ადამიანი არ იქნება გათავისუფლებული ტყვეობიდან. ამათ კიდევ ბევრი კარავი დაემატება, – განაცხადა მალხაზ მაჩალიკაშვილმა.

„ადგილები არ გვაქვს“

გორში საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვაზე „სირცხვილიას“ წევრები არ შეუშვეს

გუშინ, 22 სექტემბერს, გორში საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა გაიმართა, რომელიც სპეციალურმა კომისიამ წარუდგინა საზოგადოებას.

საჯარო განხილვაზე დასწრების სურვილი გამოთქვეს მოძრაობა „სირცხვილიას“ წევრებმა, თუმცა მათ ამის შესაძლებლობა არ მისცეს, მიზეზად კი დარბაზში სკამების ნაკლებობა დაასახელეს.

მოძრაობა „სირცხვილიას“ წევრების თქმით, დარბაზში შეკრებილების დიდი ნაწილი საჯარო მოხელეა. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანი იყო მათი აზრის გამოთქმა.

– სამწუხაროა, რომ ხელისუფლებას ასე ეშინია ჩვენი. ჩვენ არ ვართ დესტრუქციული ძალა. პროპორციული არჩევნები ჩვენი მნიშვნელოვანი მონაპოვარია და, რა თქმა უნდა, ხელს არ შევუშლიდით განხილვას. არ შეგვიშვეს, ამიტომ წამოვედით და გამოვერიდეთ, – თქვა გიგა მაქარაშვილმა.

ამასთან, სოციალურ ქსელში გავრცელდა ფოტოები, სადაც ჩანს, რომ დარბაზის ზედა იარუსი, რომელშიც განხილვა იმართება, ცარიელია.

„ერთ წელს პატარძალს აცდიან და ვაცადოთ პრეზიდენტსაც“

ბეჟან წიქარიძემ სალომე ზურაბიშვილს 60.000 ლარი შესწირა

სამშენებლო კომპანიის დამფუძნებელი ბეჟან წაქაძე, რომელმაც სალომე ზურაბიშვილს წინასაარჩევნო პერიოდში 60 ათასი ლარი შესწირა, აცხადებს, რომ პრეზიდენტი ბევრ რამეს აკეთებს და კიდევ ბევრს გააკეთებს, თუმცა დრო უნდა მისცეს საზოგადოებამ.

– ქართული ანდაზაა ასეთი, ერთი წელი პატარძალს უნდა აცადოთო და ვაცადოთ რა ამასაც, – უთხრა ბიზნესმენმა გირჩს.

შეკითხვაზე, რატომ არ იყო საკმარისი ზურაბიშვილის პრეზიდენტობის გასული თერთმეტი თვე და შეწყალებული მკვლელები, წაქაძემ უპასუხა, რომ მსგავსი ქმედებების განხორციელებას მხოლოდ პრეზიდენტი ვერ შეძლებს და მას ამაში სხვების მხარდაჭერაც ჰქონდა.

– ვიღაცამ მიაღებინა ზურაბიშვილს ეს გადაწყვეტილება და ამიტომაც შეცდა. პრეზიდენტი ბევრ რამეს აკეთებს და კიდევ ბევრს გააკეთებს, ვაცადოთ, – დასძინა წაქაძემ.

ფონიჭალაში 14 წლის გოგონა მე-7 სართულიდან გადავარდა

გუშინ, 22 სექტემბერს, ფონიჭალაში საცხოვრებელი კორპუსის მე-7 სართულიდან მოზარდი გადმოვარდა.

ინფორმაცია ამის შესახებ ინტერპრესნიუსს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დაუდასტურეს.

უწყების ცნობით, 14 წლის გოგო სამედიცინო დაწესებულებაშია გადაყვანილი.

შსს-მ მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

რუსთავში მარიხუანისგან გაბრუებულმა მოსწავლემ ქუჩაში გონება დაკარგა

რუსთავში, შარტავას გამზირზე, მოსწავლე უგონო მდგომარეობაში ნახეს.

„ინფო რუსთავის„ ინფორმაციით, 15 წლის ბიჭი დილით სკოლაში უნდა წასულიყო თუმცა მან მოულოდნელად გონება დაკარგა და საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ცენტრალური საავადმყოფოს ემერჯენსის მორიგე ექიმმა სულხან სამხარაძემ „ინფო რუსთავთან“ განაცხადა, რომ მოზარდს მარიხუანა ჰქონდა მოხმარებული, რის გამოც გონება დაკარგა.

ამ დროისთვის ბიჭის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

რუსთავის №21 საჯარო სკოლის დირექტორი ნინო გავაშელი „ინფო რუსთავთან“ აცხადებს, რომ მოსწავლე სკოლაში არ მისულა, თუმცა აღნიშნულის შესახებ ინფორმირებულია.

სამეგრელოში ლოკოკინების ფერმა ამოქმედდა

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალ ხიბულაში ლოკოკინების ფერმა „ნადი გრუპი“ სახელმწიფოს დახმარებით, „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში აშენდა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ფერმის ასაშენებლად ჯამურად 1.410.000 ლარის ინვესტიცია განხორციელდა, საიდანაც 1.260.000 ლარი ბენეფიციარმა შეღავათიანი აგროკრედიტით მიიღო.

ფერმა წელიწადში საშუალოდ 50 ტონა ლოკოკინას ხორცს აწარმოებს. პროდუქციის რეალიზაცია ხდება საექსპორტო ბაზრებზე, ძირითადად იტალიაში. იგეგმება ადგილობრივ ბაზარზე გასვლაც.

საწარმოში 10 ადგილობრივი მცხოვრებია დასაქმებული.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

მამუკა გამყრელიძე: „იმაზე, რასაც ახლა გეტყვით, დიდი ამბავი ატყდება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი დიპლომატი, გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ძალიან პასიური მდგომარეობაა პოლიტიკაში – არც პურია, არც სანახაობა და საზოგადოებაში ნიჰილიზმი დაისადგურებს. რას გვეტყვით თქვენ?

– დიახ, რამაზ საყვარელიძემ თქვა ეს და ძალიან მომეწონა. ნიჰილიზმმა კარგა ხანია, დაისადგურა, განსაკუთრებით, რაც 20 ივნისის შემდეგ დაწყებულმა აქციებმა შედეგი არ მოიტანა. ამდენი ხნის განმავლობაში ხალხი იკრიბებოდა, პროტესტს გამოთქვამდა, მაგრამ არ მოხერხდა საკმარისი რაოდენობის სალხის მოგროვება, არ მოხერხდა მძაფრი განცხადებების გაკეთება და ზეწოლის მოხდენა ხელისუფლებაზე. ხელისუფლებამ, იმის მაგივრად, რომ რაღაცა შეესმინა, პირიქით, გახარია დააწინაურა.

– ამით რა უთხრეს საზოგადოებას?

– შესაბამისად, ამით გამოავლინეს, რომ არანაირი ზემოქმედება ხელისუფლებაზე ხალხს არ შეუძლია. საკუთარ უძლურებას გრძნობ და, შესაბამისად, ვერ ახერხებ ვერაფრის გაკეთებას. აქედან გამომდინარე, თავისთავად ცხადია, რომ ნიჰილიზმმა დაისადგურა ხალხში. ამ ნიჰილიზმის გამოხატულება იყო ეს ბოლო აქცია, რომელმაც არაფერი მოიტანა.

– აქციებს ვწყვეტთ, მაგრამ გახარიას გადადგომისთვის მაინც ვიბრძოლებთო. როგორ, რა მექანიზმით?

– ეს ნისიად ნათქვამი სიტყვებია, ეს არაფერს მოიტანს.

– რა ბერკეტმა ან რა მექანიზმმა უნდა იქონიოს გავლენა „ოცნებაზე“?

– ბერკეტი არის ერთადერთი – ხალხის რაოდენობა. სხვა ბერკეტი არ არსებობს. როდესაც ხალხის მასა არის კრიტიკული და თბილისისთვის ეს არის დაახლოებით 20-30 ათასი კაცი, შემდეგ რეაგირებაც იქნება. ხოლო თუ მეტი მოვა, მაშინ ძალიან მძაფრი რეაგირება იქნება.

– ყველა უწყება ივანიშვილში ხელშია, მხოლოდ უზენაესი სასამართლო დარჩა და იქაც თადუმაძეს გაუშვებენ, პროკურატურაში კი ახალ ჯიბის პროკურორს მიიყვანენ. რას ფიქრობთ ამაზე?

– მე რამდენადაც ვიცი, მთავარი პროკურორის ბედი უკვე გადაწყვეტილია და ისიც ზუსტად ვიცი, რომ შოთაძე არ იქნება. ხალხის პროტესტი არ არის და ესენიც, რასაც უნდა, იმას აკეთებენ. აბა გაიხსენეთ, რა იყო ნაციონალების დროს და შეადარეთ იმას, რაც ახლაა.

– ძალიან დაიწია „ოცნების“ რეიტინგმა. 20%-იანი რეიტინგით რას ელოდებიან 2020-ში?

– და სხვას რამდენი აქვს?! ყველაზე დიდი რეიტინგი აქვს ყველაზე დიდ ოპოზიციური პარტიას და ეს არის 9%. იმას რომ 20% აქვს და ამას 9%, ეს არჩევნებზე გაუორმაგდებათ იმათ ხარჯზე, ვინც დღეს არავის აძლევს ხმას და არ იცის, რას იზამს. 55% იყო გაურკვეველი.

– გაორმაგების შემთხვევაშიც ვერ მოაგროვებს „ოცნება“ უმრავლესობას.

– რაში სჭირდება უმრავლესობა? ადგება და პატრიოტებთან დაალაგებს ალიანსს, 0,77%-იანი ბარიერი სწორედ მაგიტომ გააკეთეს. იქ შევა ათასნაირი წვრილი პარტია. რა, უსუფაშვილთან ვერ დალაგდება? ერთხელ თუ დალაგდა, მეორედ ვერ იზამს?! სხვაც კიდევ ბევრი გამოჩნდება.

აი, ზვიად ძიძიგურიც ცალკე გადის. შევა კოალიციაში, აბა არ შევა? რუსთავში მშვენივრად აქვს აწყობილი საქმე. რამდენი კაცია ასეთი, რომლებიც სიამოვნებით შევლენ კოალიციურ მთავრობაში ხელისუფლებასთან და მიიღებენ თანამდებობებს როგორც პარლამენტში, ასევე მთავრობაში.

– დაერქმევა კოალიციური მთავრობა, რომ დასავლეთიდან პროტესტი არ იყოს?

– რა თქმა უნდა, ასე იქნება. ამ ყველაფერს ხომ ხედავს ხალხი და ამით ნიჰილიზმი კიდევ უფრო ღრმავდება.

– ოპოზიციაც რომ სუსტია?

– სუსტი კი არა, აბსოლუტურად უმოქმედოა! რასაც ახლა გეტყვით, ეს აუცილებლად დაწერეთ. უკვე რამდენი ხნის განმავლობაში ჩვენ ვითხოვთ გაერთიანებულ ოპოზიციაში, ჩამოყალიბდეს რაღაცა სტრუქტურა, საბჭო, რაღაცა მართვის ელემენტი. ეს საპრეზიდენტო არჩევნებამდე ხომ ვერ მოვახერხეთ და არჩევნების შემდეგ რამხელა დრო გავიდა, ვცდილობთ და მაინც ვერაფერი მოვახერხეთ. ვინ არის და ვინ უშლის ამ ყველაფერს ხელს, ამას ნუღარ მკითხავთ. ამას არ ვიტყვი.

– შეგნით არიან კონკრეტული პირები, რომლებიც ამას ხელს უშლიან?

– რა თქმა უნდა, არიან. არ ხდება გაერთიანებული ოპოზიციის გაზრდა. მე რომ ახლა ამაზე თქვენთან ვსაუბრობ, ატყდება ერთი ამბავი, მაგრამ, ცოტა თუ არ გაიხსნა პროცესი, ისე არაფერი გამოვა.

ეს მხოლოდ ჩვენი ბრალიც არ არის. არიან პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ხან მოვლენ, ხან წავლენ. ჩვენ სიამოვნებით ველოდით რესპუბლიკელებს. საპრეზიდენტო არჩევნების წინ გამოჩნდნენ ჩვენთან ერთად, მერე წავიდნენ ისევ. არადა, ველოდით. რატომ ყველა არ უნდა გაერთიანდეთ?! კარგი, ბატონო, ბოკერიას არ უნდა ეს გაერთიანება.

– „ევროპული საქართველო“ აცხადებს, ყველა „ოცნების“ წინააღმდეგო და მაშინ რატომ არ ერთიანდებით?

– მათ ცოტა უცნაური პრინციპები აქვთ. თუ შესაძლებელია მემარჯვენეებთან ალიანსი, რატომ არ შეიძლება ჩვენთანაც?! არანაირი იდეოლოგიური განსხვავება არ არის ჩვენ შორის.

– მაშინ, რა უნდათ, ზედმეტი ამბიციები აქვთ?

– როგორც ჩანს, ყველას ცალ-ცალკე უნდა გასვლა. ასე კი არაფერი გამოვა. აქტიურობაა აუცილებელი.

ორი კვირის წინ ჩვენ მივედით რუსთაველზე, გახარია რომ დანიშნეს, მოვინდომეთ პროტესტის გამოხატვა, მაგრამ ისეთი უკურეაქცია და აგრესია მივიღეთ მათგან, პოლიტიკოსები არაო. ხაზარაძე თუ შეიძლება რომ მივიდეს, ის პოლიტიკოსი არ არის?! ხაზარაძისთვის თუ შეიძლება, რატომ არ შეიძლება გრიგოლ ვაშაძისთვის?! ძალიან გაუგებარი მიდგომებია.

პოლიტიკოსების გარეშე პროტესტი არ გამოდის. მე ერთადერთ გამოსავალს ვხედავ – ყველა ოპოზიციური პარტია უნდა გაერთიანდეს ერთ სტრუქტურაში და ასე ერთად დაეჯახოს ხელისუფლებას. სხვანაირად ამათ ვერ მოვუგებთ.

– მამუკა ხაზარაძე აცხადებს, რომ არავისთან წავა და არც პოლიტიკოსები იქნებიან მის პარტიაში. ვის ელექტორატს წაიყვანს, რა ნაწილზე იმუშავებს?

– შუაშისტებზე იმუშავებს. უფრო განქოცებული შუაშისტები რომ ჰქვიათ. იმათზე, ვინც არავითარ შემთხვევაში არ მისცემს ხმას ნაციონალურ მოძრაობასა და მასთან ასოცირებულ პარტიებს, როგორიც ჩვენ ვართ და ასევე აღარ

უნდათ „ქართული ოცნების“ გაგონება. რაღაცა ელექტორატს წაიყვანენ.

რაღაცას წაიღებენ ინაშვილიც, გირჩიც, ეს წვრილ-წვრილი პარტიები დაინაწილებენ ამ შუაშისტებს და პარლამენტში დიდი ვაჭრობა წავა კოალიციურ მთავრობაში შესვლაზე.

– გაერთიანებული ოპოზიცია დარჩებით დიდ უმცირესობაში?

– რა თქმა უნდა. ასე მოხდება და მერე ყველამ თავის თავს დააბრალოს.

– პრეზიდენტი სერიოზულ პრობლემებს უქმნის ხელისუფლებას. იმაზეც საუბრობენ, რომ შესაძლოა თავად „ოცნებასაც“ უნდა მისი იმპიჩმენტი. ამაზე რას ფიქრობთ?

– ნამდვილად არ არის გამორიცხული, რომ ასე იყოს. მე არჩევის დღიდან ვაცხადებდი, რომ სალომე ზურაბიშვილი სერიოზულ პრობლემებს შექმნიდა. უპროგნოზო ადამიანია და ეს პრობლემები კიდევ უფრო გაღრმავდება.

შესაძლოა, მოაწყონ იმპიჩმენტი და მერე უკვე ახალმა პარლამენტმა აირჩიოს ახალი პრეზიდენტიც, რატომაც არა. ჩემთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია სალომე ზურაბიშვილი. გაცილებით დიდი პრობლემის შემცველი იქნება ის ახალი პარლამენტი, რომელიც მისცემს „ოცნებას“ საშუალებას, შექმნას კოალიციური მთავრობა.

ეს გაცილებით სერიოზული პრობლემა იქნება.

ეკა გიგაური: „ცდილობენ, გავრილოვის ღამეზე ჯოხი რიგით პოლიციელებზე გადატეხონ“

იაგო ნაცვლიშვილი

რა პროცესი მივიღეთ გავრილოვის ღამიდან 3 თვის თავზე? რატომ არ აქვს ხელისუფლებას პოლიტიკური ნება, რომ ძალის გადამეტების ფაქტებზე რეალური გამოძიება ჩაატაროს? რა კითხვები აქვს პრეზიდენტის სკანდალურ შეწყალებებზე და რას ფიქრობს იმაზე, რომ გამოძიება პროკურატურამ დაიწყო და არ შეიქმნა საპარლამენტო კომისია? რა პოზიცია აქვს საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებულ ცვლილებებზე? — ამ და სხვა საინტერესო საკითხების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი ეკა გიგაური საუბრობს.

„პრეზიდენტის შეწყალებაზე კითხვები ჩნდება. 1000 საქმიდან რამდენიმეს ამორჩევა პროტექციის გარეშე შეუძლებელია“

– მესამე თვე შესრულდა გავრილოვის ღამიდან. პარასკევს ეს სამთვიანი პერიოდი დაგვირგვინდა მორიგი მშვიდობიანი აქციით. შეაფასეთ ეს სამთვიანი პერიოდი.

– სწორად აღნიშნეთ, რომ ეს იყო მშვიდობიანი აქცია. აქციის ორგანიზატორებს არანაირი აგრესიული ქმედებები არ ჰქონიათ გათვალისწინებული და, ცხადია, მათი მიზანიც ის იყო, რომ მშვიდობიანი ყოფილიყო და, ცხადია, რომ ეს იყო ნამდვილად გულწრფელი პროტესტი საზოგადოების მხრიდან.

მადლობა უნდა გადავუხადოთ ამ ადამიანებს, იმიტომ, რომ ამ ხნის განმავლობაში ისინი აპროტესტებდნენ გავრილოვის ღამეს, იმას, რომ არც გამოძიება ჩატარდა სამართლიანად. უმეტესწილად დაკავებული არიან აქციის მონაწილეები და სულ რამდენიმე პოლიციელი. ასევე ჩანს, რომ არანაირი სურვილი არ აქვს ხელისუფლებას, რომ მაღალი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხი დააყენოს, იმათი, რომლებიც, სავარაუდოდ, ამ ბრძანებას გასცემდნენ, იმიტომ, რომ ამის დადგენა შეიძლება იმ დაზიანებებიდან, რომლებიც ადამიანებს ჰქონდათ.

– ასეთი პოლიტიკური ნება არ არსებობს ხელისუფლებაში?

– ეს იმაზე მიანიშნებს, რომ მათ არ უნდათ თავიანთ რიგებში დამნაშავეების დასჯა, ჯოხის გადატეხას ცდილობენ რიგით პოლიციელებზე. ეს არც მორალურად არის სწორი და არც სამართლებრივად.

ამ ყველაფერზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა უნდა აეღო გიორგი გახარიას და, ცხადია, რომ ესეც პრობლემაა. თუკი ჩვენ ვსაუბრობთ დასავლურ დემოკრატიაზე, იქ რომ ეგეთი შემთხვევა მომხდარიყო, არა მარტო შს მინისტრის, არამედ ძალიან ბევრი მაღალჩინოსნის პასუხისმგებლობა დადგებოდა. თუმცა, როგორც ჩანს, ჩვენს დემოკრატიას ძალიან ბევრი პრობლემა და გამოწვევა აქვს, თუ შეიძლება, ამას დემოკრატია დაერქვას.

– ამ აქციას გარკვეული სპეკულაციები მოჰყვა მონაწილეთა რაოდენობასთან დაკავშირებით. ამაში იმ რიტორიკის გაგრძელება ხომ არ დაინახეთ, რაც თქვა სოზარ სუბარმა „ტვ პირველის“ ეთერში, რომ გახარიას გადადგომას ბევრი ადამიანი არ ითხოვდა და ამის არგუმენტია, ამ თვეების განმავლობაში ბევრი ხალხი არ იყო და ამიტომ მივიღეთ მისი პრემიერობის გადაწყვეტილებაო.

– ეს არის ყველაზე დიდი შეცდომა, როდესაც გარკვეულ აქციაზე ამ ადამიანების რაოდენობას ითვლიან და ჰგონიათ, რომ ვინც იმ აქციაზე დგას, მხოლოდ ის ადამიანები არიან უკმაყოფილონი. შევხედოთ აბსოლუტურად ყველა საზოგადოებრივი აზრის კვლევას და დავინახავთ, რომ ძალიან ბევრი პრობლემაა ქვეყანაში.

ის, რომ ადამიანი არ გამოდის ქუჩაში, არ ნიშნავს იმას, რომ ისინი კმაყოფილი არიან ხელისუფლების მუშაობით. ისინი კმაყოფილი არ არიან და ეს არის ფაქტი. ამიტომ ასეთი რაღაცა როცა ხდება და ჰგონიათ, რომ უკმაყოფილება მაშინ გამოიხატება, როდესაც ადამიანი გადის ქუჩაში, ეს არის მთავარი შეცდომა.

ვიღაც ფიქრობს, რომ რუსეთის მიმართულებით მიდის ქვეყანა, ვიღაც ფიქრობს, რომ ჩვენ დემოკრატიულ ინსტიტუტებში გვაქვს პრობლემა და ა.შ. ეს ყველაფერი არის საზოგადოების პროტესტის საფუძველი. ახლა რაც არ უნდა დავხუროთ კრიტიკული მედიები, ადამიანი როცა გამოაღებს მაცივარს და დაინახავს, რომ იქ არაფერი არ არის, გაუჩნდება პროტესტის გრძნობა. ყველა გრძნობს საკუთარ თავზე, რა ხდება სინამდვილეში.

– რუსთავი 2 გააჩერეს, მაგრამ სულ ახლახან გავიდა ეთერში „მთავარი არხი“, თუმცა უკვე რეიტინგულია, მალე გავა ეთერში „ფორმულაც“. რეალურად მოიგო თუ წააგო ხელისუფლებამ?

– მე მგონია, რომ განსხვავებულ აზრთან ბრძოლაში არავის მოუგია. ვინმეს სჯერა, რომ იგებენ ის რეჟიმები, რომლებიც რეჟიმებს ამყარებენ და განვითარებას აფერხებენ?

ვხედავთ, რომ თუკი ერთი იხურება, მეორე იხსნება და, თუ ვინმეს სურვილი აქვს, რომ კრიტიკული აზრი გააჟღეროს და ეს ადამიანები იბრძვიან ამისთვის, ეს მაინც შესაძლებელია და ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

– მოვისმინეთ ხელისუფლების წარმომადგენლებისგან, რომ არ ენდობიან ენდიაის კვლევას. იკვეთება, რომ კვლევის იმ ნაწილს ენდობიან, რაც მოსწონთ, ხოლო რაც არ მოსწონთ, არ ენდობიან.

– ეს ძალიან არასერიოზული განცხადებებია, იმიტომ, რომ ყველანაირი კვლევა პოლიტიკური პარტიისა და განსაკუთრებით მმართველი გუნდისთვის საინტერესო უნდა იყოს.

რას გვეუბნებიან? ყველას სამსახური აქვს ამ ქვეყანაში და არავინ ეძებს სამსახურს?! ან ყველა კარგად ცხოვრობს და ჩვენი მოსახლეობის უმეტესობა არ ფიქრობს იმაზე, რა აჭამოს თავის შვილს?! ხომ ვიცით, რომ ეს პრობლემები არსებობს და ზუსტად ამაზე მიუთითებენ ის კვლევები.

ამიტომ გაიხედონ თავიანთ სამეზობლოში. შესაძლოა, მათ სამეზობლოში ეს ხალხი არ ცხოვრობს მათთან, მაგრამ, როდესაც მგზავრობენ, ნებისმიერ ადგილას გააჩერონ მანქანა, გადმოვიდნენ და ჯიხურის გამყიდველს ჰკითხონ, რა მდგომარეობაშია. თუ ამას გააკეთებენ, დაინახავენ, რომ ზუსტად მაგას ეტყვიან.

დროა, ნებისმიერმა პარტიამ ერთი რამე გაითავისოს – მათ აირჩევენ იმ შემთხვევაში, თუკი ისინი მოსახლეობასა და საზოგადოებას რაღაცას გაუკეთებენ. თუ არ გაუკეთებენ, რაც არ უნდა ებრძოლონ ოპოზიციას და რაც არ უნდა დახურონ ოპოზიციური არხები, ეს მათ არ უშველის.

– ვნახეთ პრეზიდენტის სკანდალური შეწყალებები. როგორ აფასებთ იმ ფაქტს, რომ ოპოზიციამ მოითხოვა საპარლამენტო კომისიის შექმნა და საქმის შესწავლა, მაგრამ გამოძიება დაიწყო პროკურატურამ, რომლის მიმართ ნდობაც ძალიან დაბალია?

– ჩვენთან ხომ ასე ხდება, რომ საზოგადოების პროტესტი რომ არ მოჰყვეს ასეთ ფაქტებს, იმიტომ ხდება. ძალიან საინტერესოა ის, რომ პირველად ეს ფაქტი გააჟღერა „მთავარმა არხმა“. იმიტომ არ უნდათ, რომ კრიტიკული არხები იყოს ქვეყანაში. ამ ყველაფერს საზოგადოების პროტესტი რომ მოჰყვა, ამის შემდეგ დაიწყო გამოძიება და ეს არის მნიშვნელოვანი.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

დავით ჭიჭინაძე: „პროპორციული არჩევნები დიდ სიკეთეს არ მოიტანს“

„ეს ერთ კაცს ამოფარებული არჩევნებია“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, მმართველ პარტიას პოლიტიკური ცხოვრება სკანდალიდან სკანდალამდე უწევს. რა მოლოდინი გაქვთ, „ქართული ოცნება“ როგორ მივა არჩევნებზე?

– ფილმიდან იპოლიტე ხვიჩიას ცნობილი ფრაზა მახსენდება: „არ მინდა ფინიში“! ალბათ ცოტა ხანში „ქართული ოცნება“ ასე იქნება: არ მინდა არჩევნები! ამ ერთ წელიწადში კიდევ რა დაგვატყდება თავს, არავინ იცის. ეს მათი არჩევანი იყო. ვინც სახელმწიფოებრივად ფიქრობს, ის თვლის, რომ ქვეყანა არასწორად ვითარდება. ამით ხალხმა ყველაფერი თქვა. მე ამაზე ძალიან ვწუხვარ. გუნდის შიგნით კრიტიკა ვერ აიტანეს, სამაგიეროდ, მლიქვნელების დრო დადგა. ამით არც ერთ ხელისუფლებას არ მოუგია და ვერც ესენი მოიგებენ.

– პრემიერი გახარია აცხადებს, რომ ის იქნება პირველი პრემიერი, რომელიც, თუ საჭირო გახდება, პროკურატურაში ჩვენების მისაცემად მივა. ელოდებით გამოძიების შედეგებს?

– პროკურატურაში სიარულით საქმე რომ კეთდებოდეს, რა გვიჭირდა. ჩვენების მიცემა კი არ არის მთავარი, ამ ჩვენებას რა რეაქცია მოჰყვება, ეს არის მთავარი. შეიძლება, პროკურატურაში მივიდეს, როგორც რევიზორი. ეს ხომ ჩვენ არ ვიცით. პრაქტიკულად, პროკურატურა უმოქმედოა, პოლიტიკური ერთგულებით არის დაკავებული.

არაფერი შეიცვლება მანამ, სანამ რეალურად დამოუკიდებელი უწყება არ გახდება პროკურატურა. სანამ ქვეყანაში მთავარი განმსაზღვრელი სამართლიანობა არ იქნება, მანამდე ამ მდგომარეობაში ვიქნებით.

– კალაძემ თქვა, რომ 20 ივნისის მოვლენებზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა აიღეს. პარლამენტის თავმჯდომარე კობახიძე დაისაჯა, თანამდებობიდან გადააყენეს.

– კობახიძე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე რომ იყო, ის იყო ჩვენი ხალხის დასჯა. დასასჯელი კობახიძე კი არ იყო, ის იყო, ვინც ამ ყველაფრის შესახებ ინფორმაცია იცოდა. ამ შეხვედრას ესწრებოდა და თავიდან ბოლომდე გაწერილი ინფორმაცია ჰქონდა.

– ვისზე მიანიშნებ?

– პარლამენტის პირველ ვიცესპიკერზე, რომელმაც ფეისბუკის საკუთარ გვერდზე დაწერა, თურმე როგორი შეურაცხმყოფელი იყო გავრილოვის ჩაჯდომა პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში.

– თამარ ჩუგოშვილზე საუბრობთ?

– დიახ. პირადად ის ესწრებოდა იმ შეხვედრას, სადაც ამის შესახებ ინფორმაცია იქნა მიწოდებული პარლამენტისთვის. არასასიამოვნო პოლიტიკოსები ჩამოდიან საქართველოში – ეს ინფორმაცია პირდაპირ ითქვა იმ შეხვედრაზე. ეს მაინც არ იყო ოპოზიციის ინფორმაცია. რაც მოხდა სამ დღეში, კი ვნახეთ. მან ყველაფერი იცოდა და დღის წესრიგი ჰქონდა. თუმცა, მერე საქართველოდან წავიდა და იქიდან აკეთებდა განცხადებას, როგორი სირცხვილიაო.

– ბატონო დავით, როდესაც სამთავრობო ცვლილებებზე პრესა ინფორმაციას ავრცელებდა, პოლიტოლოგები მიიჩნევდნენ, რომ ახლა თუ მოხდებოდა სამთავრობო ცვლილებები, მაშინ მას ვადამდელი არჩევნები მიებმებოდა. რამდენად მოსალოდნელია ვადამდელი არჩევნები?

– სიმართლე გითხრათ, ეს სამთავრობო ცვლილებები უფრო იმ რეორგანიზაციასთან არის დაკავშირებული, რომელიც ხელისუფლებამ დაგეგმა წინასაარჩევნოდ, ვიდრე ვადამდელ არჩევნებთან. თუმცა, არც არაფერი არ არის გამორიცხული.

– რა რეორგანიზაციაზე საუბრობთ?

– რამდენიმე სამინისტროს დამატებას აპირებენ. დამატებას თუ აღდგენას. საუბარია ენერგეტიკის სამინისტროს აღდგენასა და განათლებისა და კულტურის სამინისტროების ისევ გაყოფაზე. მთავრობის სტრუქტურული ერთეული იცვლება. ბახტაძის პრემიერობის პირობებში ეს რეორგანიზაცია უფრო გაუჭირდებოდათ და ამიტომ გადაწყვიტეს, ეს სამთავრობო ცვლილებები დაჩქარებულიყო. ამან მოახდინა ფორსირება.

მასწავლებლებისთვის ხელფასების მომატება, განათლების სამინისტროს ცალკე გამოყოფა – ეს ყველაფერი წინასაარჩევნო ნაბიჯია. საარჩევნოდ მაინც რომ უწევთ ადამიანებისთვის ყურადღების მიქცევა, კარგია.

– „ოცნებამ“ დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია?

– არა. როგორც კი საკონსტიტუციო ცვლილებები დასრულდება, „ქართული ოცნება“ იმ წუთში დაიწყებს წინასაარჩევნო კამპანიას. ახლა რაიონ-რაიონ რომ დადიან და ხალხს პროპორციულ არჩევნებზე რომ ელაპარაკებიან, თითქოს დიდი შვება იყოს ხალხისთვის, მე არ ვფიქრობ, რომ ამ სისტემამ დიდი ძვრები და სიკეთე მოუტანოს ქვეყანას.

პროპორციული არჩევნები ერთ კაცს ამოფარებული არჩევნებია. ამომრჩევლის წინაშე მაჟორიტარი დეპუტატი სხვა პასუხისმგებლობას გრძნობს, ვიდრე სიას ამოფარებული.

სოხუმში მღელვარება დაიწყო

ასლან ბჟანია: „უკანონო ხელისუფლებასთან არ ვითანამშრომლებ“

მარიამ მჭედლიშვილი

თბილისის ცენტრის მსგავსად, კარვების გაშლა არ არის გამორიცხული ოკუპირებულ აფხაზეთში. აფხაზეთის უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა ფაქტობრივი საპრეზიდენტო კანდიდატის, ალხას კვიცინიას სარჩელი არჩევნების მეორე ტურის შედეგების გაბათილების თაობაზე.

კვიცინიას ადვოკატის თქმით, მოსარჩელეები გადაწყვეტილებას ჯერ უზენაესი სასამართლოს კოლეგიაში, საჭიროების შემთხვევაში კი სასამართლოს პრეზიდიუმში გაასაჩივრებენ.

ქუჩის პროტესტი სამართლებრივი პროცესის დასრულების შემდეგ არის მოსალოდნელი, მღელვარება კი უკვე დაწყებულია.

აფხაზეთის საზოგადოებას გერმანიიდან მიმართა სამკურნალოდ მყოფმა ასლან ბჟანიამ, რომელიც ითვლებოდა გაერთიანებული ოპოზიციის პრეზიდენტობის კანდიდატად, თუმცა მაისში საეჭვო ვითარებაში დაუძლურდა, რის შემდეგაც ბჟანია კვიცინიამ ჩაანაცვლა.

– არჩევნებში არც ერთ კანდიდატს არ მოუგროვებია ხმათა საჭირო რაოდენობა. ამიტომ არც ერთ კანდიდატს არა აქვს უფლება, თავი გამარჯვებულად გამოაცხადოს. ეს არის ძალაუფლების შენარჩუნების უკანონო მცდელობა სახელმწიფოს ყოფილი მეთაურის რაულ ხაჯიმბას მხრიდან.

მას 8 სექტემბრის შემდეგ უფლება არ აქვს, დაირქვას პრეზიდენტი. არ შეიძლება, ქვეყანას უხელმძღვანელოს პირმა, რომელიც არ აურჩევიათ. ამან შეიძლება მიგვიყვანოს ჩვენი სახელმწიფოებრიობის კრახამდე. სახელმწიფოებრიობა ძალიან ძვირი დაუჯდა ჩვენს ხალხს. უკანონო ხელისუფლებასთან არ ვითანამშრომლებ, – აღნიშნა მიმართვაში ბჟანიამ.

– არ გვაქვს სასამართლო, არ გვყავს ლეგიტიმური პრეზიდენტი, გვაქვს ობოლი სახელმწიფო, გვყავს პირწავარდნილი კარიერისტები და ანგაჟირებული მოსამართლეები – ასე ახასიათებს შექმნილ სიტუაციას ორგანიზაცია „ქალები პოლიტიკაში“ ლიდერი ირინა აგრბა.

„აფხაზეთი ობლად დარჩა“

მეორე ტურამდე ხაჯიმბას არჩევნებში გამარჯვება მიულოცა რუსეთის პრეზიდენტმა. მოგვიანებით მას მიბაძა რუსეთის საპატრიარქომ, რამაც გამოიწვია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამართლიანი უარყოფითი რეაქცია და გაკვირვება თავად აფხაზეთის საზოგადოებაში.

აფხაზეთშიც ბევრი თვლის, რომ რუსეთის ეკლესია ასეთ პროცესებში არ უნდა ერეოდეს.

ბოლო დროს აფხაზეთს გადაუფრინეს ვერტმფრენებმა, რომლებმაც გარემოს ნაკურთხი წყალი აპკურეს. აფხაზეთის ე.წ. მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებმა მშვიდობის პარაკლისი ჩაატარეს სასამართლოს შენობაში.

პუტინმა ხაჯიმბას მხარდაჭერა კიდევ ერთი დეპეშით გამოხატა. მან აფხაზებისაგან მოძულებული ლიდერი მიიწვია დიდ სამამულო ომში გამარჯვების 75-ე წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებებზე 2020 წლის 9 მაისს.

როგორც ჩანს, პუტინი დარწმუნებულია, რომ ხაჯიმბას სავარძელს არაფერი შეარყევს.

მეორე ტურში დაფიქსირებულ უკანონობას ადასტურებს სახალხო დამცველი ასიდა შაკრილი.

მისი თქმით, გამარჯვებულმა უნდა მიიღოს 50%-ზე მეტი ხმა არჩევნებში მონაწილე ელექტორატის საერთო რაოდენობიდან. ცესკომ კი შედეგის შეჯამებისას არ გაითვალისწინა იმათი ხმები, ვინც ორივე კანდიდატი გადახაზა. ამით დაირღვა ამ ამომრჩევლების უფლება.

სასამართლოს ბოლო სხდომამდე დახურულ კარს მიღმა გაიმართა ხაჯიმბასა და კვიცინიას შეხვედრა. დიალოგისკენ მხარეებს ბევრი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე მოუწოდებდა. ისინი მიიჩნევენ, რომ დასანიშნია ახალი საპრეზიდენტო არჩევნები.

ხაჯიმბას მტკიცებით, შეხვედრაზე იგი კვიცინიას გვარის წარმომადგენლებმა დაითანხმეს.

კვიცინია ირწმუნება, რომ შეხვედრის ინიციატორია ხაჯიმბა, რომელიც მოურიგდა კვიცინიებს.

შეხვედრაზე ხაჯიმბამ კვიცინიას შესთავაზა ვიცეპრემიერის თანამდებობა.

კვიცინია აცხადებს, რომ ამ საუბარში მან გაიხსენა იდეა პრემიერად ასლან ბჟანიას დანიშვნის შესახებ. მისი მხრიდან ეს კატეგორიული მოთხოვნა არ ყოფილა.

ხაჯიმბას სიტყვებით, კვიცინიამ მოითხოვა ბჟანიას პრემიერობა, რაზეც უარი მიიღო.

– მეგონა, კრიზისიდან გამოსავალზე ვილაპარაკებდით. ეს არ მომხდარა. ხაჯიმბამ მითხრა, ახალი არჩევნები რომ დაინიშნოს, მაშინ ჩვენ კი არა, სხვები იქნებიან კანდიდატურებიო. – აცნობა საზოგადოებას კვიცინიამ.

ეკა გიგაური: „ცდილობენ, გავრილოვის ღამეზე ჯოხი რიგით პოლიციელებზე გადატეხონ“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ჩვენი კანონმდებლობით, პრეზიდენტს ჰქონდა ამ შეწყალებების უფლება, მაგრამ პრეზიდენტმა უნდა იფიქროს, ყოველ შეწყალებას რა შედეგი მოჰყვება, იმიტომ რომ, მაგალითად, როდესაც მან შეიწყალა პოლიციელის მკვლელი, მას ჰქონდა კანონით ამის უფლება, მაგრამ რა გზავნილი იყო ეს საზოგადოებისთვის და პოლიციელების მისამართით და ზოგადად პოლიციის როგორც ინსტიტუტთან მიმართებით? ამიტომ ეს საკითხები მაინც უნდა გაითვალისწინოს პრეზიდენტმა.

დარწმუნებული ვარ, რომ რამდენიმე ათასი ადამიანი მიმართავდა შეწყალებაზე და საინტერესოა, როგორ ამოკრიბა იქიდან და რა კრიტერიუმით.

– კითხვები კორუფციის მიმართულებითაც გიჩნდებათ?

– სერიოზული კითხვები მიჩნდება იმიტომ, რომ მე ვიყავი შეწყალების კომისიაში და ვიცი, უბრალოდ, შეუძლებელია რამდენიმე ათასი ადამიანისგან, რომლებიც მიმართავენ ხოლმე პრეზიდენტს, ასე ამოარჩიო რამდენიმე, თუკი არ გაქვს დადგენილი კრიტერიუმები. ეს შეუძლებელია, თუ ვინმემ არ „გირჩია“ და პროტექციით არ მოვიდა შენთან.

ჩვენ განვიხილავდით აბსოლუტურად ყველას და ვერავის ამოვარჩევდით იქიდან. ეს არის შეუძლებელი. ამიტომ რამდენიმე ათასი ადამიანიდან 30 როგორ ამოარჩია, ეს ძალიან სერიოზულ კითხვებს ბადებს.

– არჩილ თალაკვაძემ თქვა, რომ დაიწყო საარჩევნო კოდექსსა და საკონსტიტუციო ცვლილებებზე მუშაობა სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით. თუ ხართ ჩართული და თუ ითვალისწინებს თქვენს შეთავაზებებს მმართველი გუნდი?

– თქვენს მკითხველს ვეტყვი, რომ ორი პარალელური პროცესია. ერთი არის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა და ამ ცვლილებების საფუძველზე შეიცვლება ჩვენი საარჩევნო სისტემა; მეორეა საარჩევნო კოდექსსა და შესაბამის კანონებში ცვლილებების შეტანა, რომლებიც ეხება წინასაარჩევნო პერიოდსა და ზოგადად არჩევნების მიმდინარეობის პროცესს.

ჩვენ ორივე პროცესში ჩართული ვართ. პირველი არის ძალიან მნიშვნელოვანი რამე, რაც ეხება საარჩევნო სიების შეცვლას და იმედი მაქვს, რომ პროცესი ბოლომდე მივა, იმიტომ, რომ ხშირად გვსმენია, ხელისუფლება რაღაცას დაგვპირებია, მაგრამ, საბოლოო ჯამში, არ გაუკეთებია.

წინა საკონსტიტუციო ცვლილებებს გავიხსენებ, როდესაც წინასწარ გვპირდებოდნენ, რომ პროპორციულ სისტემაზე გადავიდოდით 2020-ის არჩევნებისთვის, მაგრამ ეს არ გააკეთეს და სულ რამდენიმე დღეში შეცვალეს თავიანთი პოზიციები.

იმედი მაქვს, პარლამენტში ბოლომდე მივა ეს პროცესი. სანამ არ გვექნება ეს ცვლილებები, იქამდე ვერ ვიქნები დარწმუნებული, რომ ეს მოხდება, თუმცა, იმედს ვიტოვებ, რომ ეს ცვლილებები გატარდება, რადგან ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი.

მეორე ნაწილია უკვე საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებები. ჩვენ აქაც ჩართული ვართ. არ მოგვწონს გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული ცვლილებები, რაც, ფაქტობრივად, ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას. იმედი მაქვს, ხელისუფლება საბოლოოდ ამ ცვლილებებს არ განახორციელებს.

რაც შეეხება პარტიების დაფინანსებასთან დაკავშირებულ ცვლილებებს, ისინი არის პოზიტიური და ჩვენ გვქონდა ეს რეკომენდაციები თავის დროზე.

„გვაიძულებენ, 1 კვ.მ მიწა 18 თეთრად გავყიდოთ“

რა ხდება სოფელ რენეში

შიდა ქართლის სოფელ რენეს მოსახლეობა ხელისუფლებას მუქარასა და შანტაჟში ადანაშაულებს.

ადგილობრივები ამბობენ, რომ გაზისა და ნავთობის კორპორაციის წარმომადგენლები მათ აიძულებენ, 1 კვ.მ მიწის ფართობი 18 თეთრის სანაცვლოდ დათმონ.

როგორც ნიუპოსტს ადგილობრივმა მცხოვრებმა ალექსი მელაძემ განუცხადა, მოსახლეობის დიდ ნაწილს ხელშეკრულებებზე ხელი იძულებით უკვე მოაწერინეს, მათ კი დაემუქრნენ და უთხრეს, რომ სამართლებრივი დავის დაწყების შემთხვევაში ვერაფერს გახდებიან.

– არ დავთმობთ მიწებს ასეთ მიზერულ თანხად. ჩვენ კანონიერი მესაკუთრეები ვართ და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენი უფლებები დავიცვათ. უკვე რამდენიმეჯერ იყვნენ გაზისა და ნავთობის კორპორაციის წარმომადგენლები და დააშინეს მოსახლეობა. მოვითხოვთ, ყურადღება მოგვაქციოს ქვეყნის ხელისუფლებამ, რადგან, დიდი ალბათობით, საქმე გვაქვს კორუფციასთან, – აცხადებს ალექსი მელაძე.

გაზისა და ნავთობის კორპორაციაში მოსახლეობის დაშინების ფაქტს უარყოფენ, თუმცა ადასტურებენ, რომ მათ 1 კვადრატულ მეტრში ნამდვილად 18 თეთრს სთავაზობენ. პრესსამსახურის ინფორმაციით, აღნიშნული თანხა ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიურომ დაადგინა.

კორპორაცია ღეხურა-სვენეთის მონაკვეთზე ცენტრალური გაზსადენის რეაბილიტაციას გეგმავს და მოლაპარაკებებს მიწების დროებით სარგებლობაში გადაცემაზე მოსახლეობასთან ამიტომ აწარმოებს.

„დაიცა, თოკი შევიკარი. ვეღარ ვიხსნი“

რა დაწერა 14 წლის ბიჭმა ჭოგნარში თვითმკვლელობამდე რამდენიმე წუთით ადრე

სოფელ ჭოგნარში 14 წლის მოზარდის თვითმკვლელობა, შესაძლოა, ბულინგს უკავშირდებოდეს.

სოფელში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ლუკა თანატოლებს დახურულ ჯგუფში აფრთხილებდა, რომ თუ მას ბოდიშს არ მოუხდიდნენ, ის სიცოცხლეს სუიციდით დაამთავრებდა.

ამ ამბავს კიდევ უფრო შემზარავს ხდის თვითმკვლელობამდე 14 წლის ბიჭის მიერ თანატოლებისთვის გაგზავნილი ფოტო, რომელიც სუიციდამდე რამდენიმე წუთით ადრეა გადაღებული და რომელშიც თოკია აღბეჭდილი.

ნიუპოსტის ცნობით, სკანდალური მიმოწერა „მთავარმა არხმა“ გაავრცელა.

მიმოწერაში ლუკა თანატოლებს მიმართავს:

– უნამუსო ვიყო, თუ ბოდიშებს არ მოიხდით სულ ყველა, გამკეთებელი თუ არ ვიყო.

თანატოლის მუქარა დახურული ჯგუფის წევრებმა არ დაიჯერეს და მეტიც, მას კიდევ ერთხელ დასცინეს:

– ჯერ ერთი, ბოდიში რატომ უნდა მოგიხადოს აქ ვინმემ და რომ არ მოგიხადოთ, მიდი აბა ერთი გააკეთე, თუ მაგარი ხარ.

ბულინგის შემდეგ ლუკამ ჩატში თოკის ფოტო ჩააგდო, რომლითაც თავი მოიკლა. მოზარდის თანატოლები არც ამის შემდეგ გაჩერებულან.

– შეჩემა, მაგხელა მარტო ერთი ყური გაქვს, – დაწერა ლუკას საპასუხოდ ერთ-ერთმა არასრულწლოვანმა.

– ლუკა, სახლში შეიტანე და ლუსტრაზე ჩამოეკიდე, გაგიძლებს, – დაწერა 14 წლის ბიჭის მისამართით კიდევ ერთმა მოზარდმა.



ბავშვები ლუკას მიმართ ბულინგს არ წყვეტდნენ და, შეიძლება ითქვას, თვითმკვლელობამდე უბიძგებდნენ კიდევ:

– ლუკა, თქვი ამ ცხოვრების-თქო და კაბლის ხე გაქვს და თუ ასწვდები, მაგრად მოუჭირე, რომ არ ჩამოწყდეს. ან ვაფშე ხეზე თუ ახვალ, გადმოხტი.

ამ მესიჯის შემდეგ ბიჭმა ყველაზე შემზარავი წერილი მისწერა მეგობრებს:

– დაიცა, თოკი შევიკარი. ვეღარ ვიხსნი.

14 წლის ბიჭი საკუთარი სახლის ეზოში ჩამომხრჩვალი წინა კვირაში იპოვეს.

მოზარდის დედა საზღვარგარეთ სამუშაოდ იყო წასული, ლუკა კი ბებია-ბაბუასთან იზრდებოდა.

გამოძიება სისხლის სამართლის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სიცოცხლის მოსპობამდე მიყვანას გულისხმობს.

ჭოგნარის პოლიციამ მოზარდის მეგობრები უკვე დაკითხა.

დიდ დიღომში ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს

თბილისში, დიდ დიღომში, თამარ მეფის ქუჩაზე, ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს. დაჭრას წინ გარჩევა, ჩხუბი და დაპირისპირება უძღოდა.

თვითმხილველთა თქმით, დაჭრაში ბრალდებულმა მიმალვა მოახერხა, დაჭრილი მამაკაცი კი კლინიკა „იმედის“ მიმდებარედ გამვლელებმა იპოვეს და საპატრულო პოლიცია გამოიძახეს.

დაშავებული კლინიკაში განაგრძობს მკურნალობას. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

შემთხვევა 20 სექტემბერს, გვიან ღამით მოხდა. ადგილობრივების თქმით, საგამოძიებო მოქმედებები გვიან ღამემდე გაგრძელდა. პოლიციამ სათვალთვალო კამერების ჩანაწერები ამოიღო.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებას გულისხმობს.

მაღაზია „ზუმერი“ ორმა არასრულწლოვანმა გაქურდა

სამართალდამცავებმა ტექნიკის მაღაზია „ზუმერის“ გაქურდვის ბრალდებით ორი პირი დააკავეს.

დაკავებულმა პირებმა მაღაზიაში უკანონოდ შეაღწიეს, სადაც მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ მობილურ ტელეფონებს, სხვადასხვა სახის აქსესუარს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯგუფურად ჩადენილი ქურდობის ბრალდებით 2 პირი: 2003 წელს დაბადებული გ.ჭ. და 2003 წელს დაბადებული თ.გ. დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა თბილისში, პეკინის გამზირზე მდებარე ტექნიკის მაღაზია „ზუმერში“ უკანონოდ შეაღწიეს, სადაც მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ მობილურ ტელეფონებს, სხვადასხვა სახის აქსესუარს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა დაკავებულების მიერ მოპარული და თბილისში მდებარე ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის სხვენში დამალული ტელეფონების ყუთები და მათში არსებული აქსესუარები ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით ჩადენილ ქურდობის ფაქტზე საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის

მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, ასევე, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

თბილისში მანქანა 40 წლის მამაკაცს დაეჯახა და მოკლა

მსხვერპლით დასრულდა თბილისში 20 სექტემბერს, გვიან ღამით მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევა. აღმაშენებლის ხეივანზე მსუბუქი ავტომობილი ქვეითად მოსიარულე 40 წლამდე მამაკაცს დაეჯახა.

მოქალაქე ადგილზე დაიღუპა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეექვსე ნაწილით დაიწყო, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ხულოში 24 წლის ე.ა.-მ 78 აგარაკი გაქურდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ხულოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1995 წელს დაბადებული ე.ა. ქურდობის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ბრალდებულმა ხულოს მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ტერიტორიაზე მდებარე 78 აგარაკი გაქურდა. პოლიციამ ე.ა. მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავა. უწყების ცნობით, ნაქურდალი ნივთები ნივთმტკიცების სახით სრულად არის ამოღებული.

გამოძიება ქურდობის ფაქტებზე საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით მიმდინარეობს.

ბათუმში თურქეთის მოქალაქე ნარკორეალიზაციის ბრალდებით დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ნარკორეალიზაციის ბრალდებით თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1987 წელს დაბადებული ე.ი. დააკავეს.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, გამოძიების ფარგლებში, დაკავებულისგან ნარკოტიკული საშუალებების საკონტროლო შესყიდვა და ფარული ვიდეო-აუდიო ჩაწერა განახორციელეს. პოლიციამ ბრალდებულის მიერ უკანონოდ გაყიდული ნარკოტიკული საშუალება „ექსტაზი“ და მისი გაყიდვის შედეგად მიღებული თანხა ნივთმტკიცებად ამოიღო.

დაკავებულის პირადი ჩხრეკისას სამართალდამცველების მიერ ასევე ამოღებულია ნარკოტიკული საშუალების 2 აბი.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

შსს-მ კამერუნის 2 მოქალაქე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის №1 სამმართველოს (ბათუმი) თანამშრომლებმა, ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, კამერუნის რესპუბლიკის 2 მოქალაქე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

დაკავებულების მიერ ჩადენილი დანაშაული 4-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები სასაზღვრო-საკონტროლო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, უკანონოდ, ჯგუფურად ცდილობდნენ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას თურქეთის რესპუბლიკის მიმართულებით.

გამოძიება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 19-344-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციამ ზაფხულის 3 თვის განმავლობაში, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის და გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით, პასუხისგებაში მისცა სხვადასხვა ქვეყნის 96 მოქალაქე, მათ შორის თურქეთის რესპუბლიკის 15, აზერბაიჯანის 4, ინდოეთის – 8, სომხეთის – 4, მაროკოს – 5, ირანი – 5, ერაყი – 1, ავღანეთის – 1, ეგვიპტის – 1 მოქალაქე და მოქალაქეობის არ მქონე 8 პირი.

გუკა რჩეულიშვილს ცენტრ-პოინტის დაზარალებულები დაუპირისპირდნენ

„ჩვენი ფულებით გულაობდი და ფეხებზე გეკიდა“

20 სექტემბერს, 16:00 საათზე, თბილისის საქალაქო სასამართლოში მაია რჩეულიშვილის სასამართლო პროცესი უნდა გამართულიყო, თუმცა გადაიდო. სასამართლოსთან ცენტრ-პოინტის დაზარალებულები აქციას მართავდნენ, შემდეგ კი გუკა რჩეულიშვილს დაუპირისპირდნენ.

– 10 წლის წინ დირექტორად რომ იყავი გაფორმებული, მაშინ რატომ არ იყავი ჩართული პროცესში? ჩვენი ფულებით გულაობდი და ფეხებზე გეკიდა, – ასე მიმართა ერთ-ერთმა დაზარალებულმა გუკა რჩეულიშვილს.

– რატომ არ უბრუნებთ ხალხს ქონებას, რომელიც მიითვისეთ. დირექტორი იყავი და შენ მიითვისე. მათი მომავალი და შთამომავლობაც შენ ხარ და მე მივითვისე აბა? – უთხრა გუკა რჩეულიშვილს კიდევ ერთმა დაზარალებულმა.

„თეთრი მაგნოლიის“ ეპიზოდზე ბრალდებულები მაია და გუკა რჩეულიშვილები არიან. მათ სახელმწიფო ბრალდება მენაშენეების კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების მითვისებას ედავება.

10 აპრილს „ცენტრ-პოინტის“ საქმის ე.წ. მიონის ეპიზოდზე მაია რჩეულიშვილს სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა და 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

დოლიძის ქუჩაზე 2 მამაკაცს ხე დაეცა

21 სექტემბერს ძლიერი ქარის გამო თბილისში, დოლიძის ქუჩაზე, ორ მამაკაცს ხე დაეცა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განუცხადეს, ორივე მამაკაცს სამედიცინო დახმარება ადგილზევე აღმოუჩინეს, შემდეგ კი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფმა ისინი კლინიკაში გადაიყვანა.

უვადო პატიმარმა ბადრი ბეჟანიძემ პარლამენტს საკონსტიტუციო დავა მოუგო

საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა ბადრი ბეჟანიძის სარჩელი.

ბადრი ბეჟანიძეს უვადოდ თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი. პატიმარი ასაჩივრებდა სამართლებრივ ნორმას, რომლის მიხედვითაც, სისხლის სამართლის კოდექსში 2007 წელს შესული ცვლილება „დანაშაულის არაერთგზის ჩადენასთან“ დაკავშირებით მხოლოდ მათ შეეხო, ვინც ამ პერიოდის შემდეგ გასამართლდნენ.

ბადრი ბეჟანიძე 2007 წლამდე გასამართლდა ერთი და იმავე დანაშაულის რამდენიმეჯერ ჩადენის გამო. იგი გაასამართლეს, როგორც დანაშაულის არაერთგზის ჩამდენი პირი. დანაშაულის არაერთგზის ჩადენა კი დამამძიმებელი გარემოებაა.

2007 წლის შემდეგ ბადრი ბეჟანიძეს ამ ფორმით ვეღარ გაასამართლებდნენ, რადგან „დანაშაულის არაერთგზის ჩადენას“ მხოლოდ იმ შემთხვევაში ადგენს კანონი, თუ იმავე დანაშაულის ჩადენისთვის პირი უკვე იყო წარსულში ნასამართლევი.

მოსარჩელის პოზიციით, ცვლილებების განხორციელების შემდგომ, მოქმედი წესის გამოყენების შემთხვევაში, მის მიერ წარსულში ჩადენილი ქმედება არაერთგზის დანაშაულად არ დაკვალიფიცირდებოდა და არ გამოიწვევდა მისთვის განსაკუთრებით მძიმე სასჯელის – უვადო თავისუფლების აღკვეთის დაკისრებას.

ბადრი ბეჟანიძე მიიჩნევდა, რომ ირღვევა კონსტიტუციით გათვალისწინებული თანასწორობის უფლება და „შემამსუბუქებელი კანონის უკუძალით გამოყენების კონსტიტუციური პრინციპი“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დანაშაულის არაერთგზისობის ცნების ცვლილება და, შესაბამისად, პასუხისმგებლობის შემსუბუქება, ნაკარნახევი იყო ცვლილებამდე არსებული შედარებით უფრო მკაცრი სასჯელის ზომის საჭიროების არარსებობით. ამ პირობებში კი, ახალი კანონის მოქმედების წარსულ ურთიერთობებზე გაუვრცელებლობა იწვევდა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი კანონის უკუძალით გამოყენების კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას.

ამავე დროს, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა რამე საჯარო ინტერესი, რომელიც სადავო ნორმით დადგენილი უფლების შეზღუდვას გაამართლებდა.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

ჯო ბაიდენი: „ტრამპი ზელენსკიზე ზეწოლას ახდენდა“

აშშ-ისა და უკრაინის პრეზიდენტები ერთმანეთს 25 სექტემბერს შეხვდებიან

ზელენსკი და ტრამპი ერთმანეთს 25 სექტემბერს შეხვდებიან.

მოლაპარაკებების ძირითადი თემებია უკრაინაში ამერიკული ინვესტიციების გაზრდა, აშშ-უკრაინის თანამშრომლობა თავდაცვისა და უშიშროების განმტკიცების სფეროში და დონბასში კონფლიქტის დასრულება.

ტრამპს ზელენსკისთან შეხვედრა არ სურდა. აშშ-ის პრეზიდენტი არაერთგზის აცხადებდა, რომ რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება სურს, უკრაინისთვის სამხედრო დახმარების გაზრდას კი უაზრობად მიიჩნევდა.

– ამით რუსეთის პროვოცირება მოხდება, – ამბობდა ტრამპი.

კონგრესი და სენატი ამას კატეგორიულად არ ეთანხმებოდნენ. კონგრესში მზადდებოდა კანონი, რომლის ძალითაც ტრამპი უკვე მოვალე ხდებოდა, უკრაინისთვის დახმარება გაეზარდა.

ტრამპის ადმინისტრაციასაც არჩევანი აღარ დარჩა. 12 სექტემბერს განახლდა უკრაინისადმი სამხედრო დახმარება.

ამასობაში აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ ტრამპი ზელენსკიზე ზეწოლას ახორციელებდა. მიზანი ბაიდენზე კომპრომატის მიღება იყო.

– უკრაინისადმი სამხედრო დახმარებაც ტრამპმა სწორედ ამ მიზნით შეაჩერა. მან იცოდა, რომ ეს უკრაინას ჰაერივით სჭირდებოდა და ზელენსკის შანტაჟი მოუწყო, – თქვა ბაიდენმა.

ტრამპმა ბრალდება უარყო. მან თქვა, რომ ზელენსკისთან მსგავსი დიალოგი არ ყოფილა.

– ობამასგან განსხვავებით, მე უკრაინისთვის ლეტალური იარაღის მიწოდებაზე წავედი. მომავალშიც სამხედრო დახმარება გაფართოვდება, – განაცხადა ტრამპმა.

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა პრისტაიკომ ტრამპის სიტყვები დაადასტურა:

– არავითარ შანტაჟს ადგილი არ ჰქონია.

ამერიკელი კონგრესმენები კი კატეგორიულად მოითხოვენ, რომ ტრამპისა და ზელენსკის სატელეფონო საუბრების ჩანაწერები წარმოადგინონ.

– მხოლოდ ამის შემდეგ დავიჯერებთ, რომ ტრამპი უდანაშაულოა, – აცხადებენ ისინი.

ჩინელი ჟურნალისტები მარქსიზმში გამოცდას ჩააბარებენ

თანახმად ჩინეთის მთავრობის დადგენილებისა, ჟურნალისტების იდეურ-აღმზრდელობითი დონე უნდა ამაღლდეს. შესაბამისად, სახელმწიფო გამოცემაში მომუშავე ნებისმიერი ჟურნალისტი მარქსიზმში გამოცდას ჩააბარებს. მათ უნდა დაამტკიცონ, რომ ზედმიწევნით იციან მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის, მაო ძე დუნის შრომები და საკადრის იდეოლოგიურ დონეზე დგანან.

ამას გარდა, ჟურნალისტებმა ცოცხალი კლასიკოსის, ჩინეთის კომპარტიის ამჟამინდელი ლიდერის სი ცზენპინის ბიოგრაფიაც უნდა იცოდნენ.

ყველას, ვინც გამოცდას ვერ ჩააბარებს, ჟურნალისტურ მოღვაწეობას აუკრძალავენ.

თურქეთი სირიაში სამხედრო ოპერაციის ჩატარებას აპირებს

თურქეთი სირიის ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაციის ჩატარებას აპირებს. ამის თაობაზე პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა.

– საამისოდ ყველაფერი მზად არის, – თქვა ერდოღანმა.

თურქეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ სირიის ტერიტორიაზე ქურთი ტერორისტების პრობლემა არ არის გადაწყვეტილი. თურქეთი ვერ შეეგუება იმას, რომ მის საზღვრებთან ტერორისტული დერეფანი შეიქმნას.

ალბანეთში 5,6 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა

21 სექტემბერს ალბანეთში 5,6 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. ეპიცენტრი საპორტო ქალაქ დურესში დაფიქსირდა.

მიწისძვრას რამდენიმე განმეორებითი ბიძგი მოჰყვა. შედეგად დაზიანდა შენობები და ავტომობილები.

არიან დაშავებულებიც. სულ 105 ადამიანი დაშავდა. სამედიცინო დაწესებულებს სწორედ ამ რაოდენობის ადამიანებმა მიმართეს. მათი უმეტესობა უკვე გაეწერა.

ქვეყნის თავდაცვის მინისტრის განცხადებით, არმია უკვე ჩაერთო ნანგრევების დასუფთავების საქმეში. მიმდინარეობს მატერიალური ზარალის დათვლა.

ეს ალბანეთში ბოლო 30 წლის განმავლობაში ყველაზე ძლიერი მიწისძვრა იყო.

ყაზახეთში პოლიციამ აქცია დაშალა

ყაზახეთის დედაქალაქ ნურსულთანში მოქალაქეთა ჯგუფმა ანტისამთავრობო აქციის გამართვა ცადა. ის არ იყო სანქცირებული. მომიტინგეები მოითხოვდნენ პოლიტპატიმრების გათავისუფლებას და გამოთქვამდნენ პროტესტს ჩინეთის ექსპანსიის გამო.

აქცია არ იყო მრავალრიცხოვანი. მასში სულ 300 ადამიანი მონაწილეობდა. პოლიციამაც ის ადვილად დაშალა.

დაკავებულია 60 მოქალაქე.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ფეხმძიმე პატარძალმა საკურთხევლამდე ვერ მიაღწია

ბრაზილიაში საკუთარ ქორწილში მიმავალი ექვსი თვის ფეხმძიმე პატარძალი გზაში გარდაიცვალა. 30 წლის მედდა ჯესიკა გუედესი სან-პაულუს ეკლესიაში საკუთარ ქორწილზე მიდიოდა და ლიმუზინში თავი შეუძლოდ იგრძნო. მან დაიჩივლა, რომ თავბრუ ეხვეოდა და კისრის არეში ტკივილს გრძნობდა, შემდეგ კი გონება დაკარგა. ნათესავებმა ჩათვალეს, რომ ეს, უბრალოდ, ზედმეტი აღელვებით იყო გამოწვეული.

მისი 31 წლის საქმრო, სახანძრო დაცვის სამსახურის ლეიტენანტი ფლავიო გონსალესი, საკურთხეველთან იცდიდა და უკვირდა, რომ მისი შეყვარებული ცერემონიაზე იგვიანებდა. როდესაც ლიმუზინი ეკლესიასთან გაჩერდა, მანქანიდან პატარძლის ნათესავები დახმარების თხოვნითა და ყვირილით გადმოცვივდნენ.

როდესაც გონსალესმა ლიმუზინთან მიირბინა, გუედესი გონს მოვიდა და უთხრა, რომ ყველაფერი კარგად იყო და, უბრალოდ, კისერი და ზურგი სტკიოდა. საქმრომ საცოლე მანქანიდან გადმოიყვანა და პირველადი დახმარება აღმოუჩინა. ამის შემდეგ პატარძალი სან-პაულუს სამშობიარო ცენტრში გადაიყვანეს, თუმცა მალევე, მისი მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით, კერძო სამშობიაროში გადაიყვანეს. ექიმების მონაცემებით, ქალს ინსულტი დაემართა. პრეკლამპსიისა და შინაგანი სისხლდენის გამო ქირურგებს მისთვის საშვილოსნოს ამოკვეთა მოუხდათ. ვითარების სირთულიდან გამომდინარე, 29 კვირის ბავშვის გადასარჩენად ექიმებმა სასწრაფო საკეისრო კვეთა განახორციელეს. შედეგად ქვეყანას მოევლინა 930 გრამი და 34 სანტიმეტრის გოგონა, რომელსაც სოფია დაარქვეს. ქალი ოპერაციის შემდეგ გარდაიცვალა.

ბავშვი ახალშობილთა ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მოათავსეს. ის იქ მინიმუმ ორ თვეს დარჩება.

ბავშვმა მდინარეში ძვირფასეულობის სამალავს მიაგნო

შოტლანდიის ჩრდილოეთ ლანკაშირის სოფელ ბონკლის პატარა მკვიდრმა ადგილობრივ მდინარეში შემთხვევით სამალავს მიაგნო, რომელშიც ძვირფასეულობა ინახებოდა. 7 წლის კემპბელ ბუტი მამასთან გრემთან და ძაღლთან ერთად მდინარე კალდერის ნაპირზე სეირნობდა, რა დროსაც წყლის ზედაპირზე ყვითელი საგანი შენიშნა. ბიჭს ეგონა, რომ ის შოკოლადის მონეტა იყო და მისი მდინარიდან ამოღება გადაწყვიტა.

– ყურადღებით დავაკვირდი და ის უფრო მეტად მედალს წააგავდა, – იხსენებს შოტლანდიელი, – იქვე ჩვენ ვიპოვეთ 15 თუ 16 საათი და რამდენიმე ოქროსა და ვერცხლის ჯაჭვი.

კემპბელმა აღნიშნა, რომ მისთვის უცნობია ნაპოვნის ღირებულება, თუმცა ისინი საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა. ბიჭმა ძვირფასეულობა პოლიციას გადასცა.

– ეს იყო პირველი აზრი, რაც თავში მოუვიდა, – განაცხადა გრემმა, – მან იფიქრა, რომ ეს სამკაულები შესაძლოა ვინმეს ბებიის საკუთრება იყო და სურს, ისინი მის კანონიერ მფლობელებს დაუბრუნდეთ.

ინსპექტორმა მარტინ სპაიერსმა აღნიშნა, რომ კვირას ნაპოვნი სამკაულები პოლიციას გადასცეს. ამ მომენტისთვის ხელისუფლება ცდილობს დაადგინოს, ეს სამკაულები ადრე ჩადენილ დანაშაულებს ხომ არ უკავშირდება.

მონადირეებმა 180-კილოგრამიანი ტახი დაიჭირეს

ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ სან-ანტონიოში გოლფის სათამაშო მოედანზე უზარმაზარი, დაახლოებით 180-კილოგრამიანი ტახი შეიჭრა.

გარეული ცხოველი გოლფის მოედანზე იმ დროს გამოჩნდა, როდესაც ის ცარიელი იყო. ტახის დასაჭერად მონადირეები ძაღლებით გამოიძახეს. სპეციალისტებმა ცხოველი დაიჭირეს და გაკოჭეს, შემდეგ კი ბუნებაში დააბრუნეს. ერთ-ერთმა მონადირემ, ვაიეტ ვოლტონმა, ცხოველი დაახასიათა, როგორც „უზარმაზარი“ და „ჭკვიანი“. მან ასევე აღნიშნა, რომ მათმა გუნდმა ბოლო სამი წლის განმავლობაში 1,2 ათასზე მეტი ტახი დაიჭირა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

რაგბი: საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ცნობილია

დღეს საქართველოს ნაკრები მსოფლიო თასზე უელსს დაუპირისპირდება. ბორჯღალოსნების სამწვრთნელო შტაბმა პირველი მატჩისთვის 23-კაციანი შემადგენლობა დაასახელა.

ეს მატჩი დ ჯგუფის მეორე შეხვედრა იქნება. პირველი შეხვედრაში ფიჯი ავსტრალიას საათის განმავლობაში უგებდა, მაგრამ დასკვნით 20 წუთში გატყდა და „ვოლაბებმა“ დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვეს – 39:21.

პირველად ქართული რაგბის ისტორიაში საქართველოს ნაკრები ექვსი ერის წარმომადგენელთან ზედიზედ მე-3 შეხვედრას გამართავს. წინა 2, შოტლანდიასთან, მსოფლიო თასისთვის მოსამზადებელი მატჩები იყო, ახლა კი მსოფლიოს პირველობის შეხვედრის დრო დადგა.

შერკინების პირველი ხაზი ისეთივე იქნება, როგორიც წინა შოტლანდიელებთან შეხვედრებში იყო – კვაჭი შალვა მამუკაშვილია, მარცხენა ბურჯი გუნდის კაპიტანი მიხეილ ნარიაშვილი, ხოლო მარჯვენა ბურჯად თამაშს ბექა გიგაშვილი იწყებს. უცვლელია მეორე ხაზიც – გიორგი ნემსაძე და კოტე მიქაუტაძე.

სიახლეა შერკინების მესამე ხაზში. 2017 წლის შემდეგ, გუნდს დაუბრუნდა და ჩვეულ პოზიციაზე, ფლანკერად იწყებს თამაშს მამუკა გორგოძე. ისე, როგორც 4 წლის წინ ტონგასთან მოგებულ მატჩში, მეორე ფლანკერი გიორგი თხილაიშვილია. შერკინების შემკვრელად თამაშს ბექა გორგაძე იწყებს.

შერკინების სასტარტო შემადგენლობას თუ გადავხედავთ, მსოფლიო თასზე დებიუტი 2 მორაგბეს ექნება – გიგაშვილს და გორგაძეს. მამუკა გორგოძე მეოთხე მსოფლიო თასზე მე-12 თამაშს ჩაატარებს, მესამე მსოფლიო თასია ნემსაძისთვის, დანარჩენები კი რაგბის უმაღლეს ფორუმზე მეორედ ითამაშებენ. მორკინალებიდან მსოფლიო თასზე ლელო 2 მორაგბეს გაუტანია – გორგოძესა (3) და თხილაიშვილს (1).

შოტლანდიასთან გამართულ მოსამზადებელ მატჩებთან შედარებით, 2 ცვლილებაა ბორჯღალოსნების ხაზში.

ღერძი ხელუხლებელი დარჩა: 9 ნომრად ითამაშებს ვასილ ლობჟანიძე, ხოლო მგეზავად თედო აბჟანდაძე დაიწყებს. მერაბ შარიქაძის არყოფნაში, ცენტრში ბრუნდება თამაზ მჭედლიძე, რომელსაც სასტარტო შემადგენლობაში შარშან ნოემბრის შემდეგ არ უთამაშია. ის დავით კაჭარავას შეუწყვილდება, რომელსაც ნაკრების კვართით ყველაზე მეტჯერ, 116-ჯერ უთამაშია.

ფრთაზე ადგილი შეინარჩუნა მირიან მოდებაძემ, ხოლო მეორე ფრთა გიორგი კვესელაძე იქნება. ფულბეკის პოზიციაზე ადგილს ინარჩუნებს სოსო მათიაშვილი.

ხაზის მოთამაშეთაგან მე-4 მსოფლიო თასს და მე-11 მატჩს ჩაატარებს კაჭარავა, ხოლო მჭედლიძე და ლობჟანიძე რაგბის უდიდეს ფორუმზე მეორედ არიან. დანარჩენ მორაგბეებს მსოფლიო თასზე დებიუტი ექნებათ.

უელსთან მატჩში ბორჯღალოსნების კოზირი შერკინების ხაზი იქნება, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ მარქაფაში ექვსი მორკინალია, ერთი 9 ნომერი და მხოლოდ ერთი უკანა ხაზელი.

მარქაფიდან კვაჭის პოზიციაზე შეცვლაზე შევა გამოცდილი ჯაბა ბრეგვაძე, რომლისთვისაც იაპონიის ტურნირი მე-3 მსოფლიო თასია. მარქაფაშია გამოცდილი ბურჯი ლევან ჩი-

გაგრძელება მე-7 გვერდზე

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● დიაბეტური დაავადებების, ხერხემლის გამრუდების, ბავშვებში ბრტყელტერფიანობის, ყურებში შუილის, სმენის დაქვეითების მკურნალობა. მოგემსახურებათ გაეროს სერტიფიკატის მფლობელი ექიმი თამარ შავერდოვა. ტელ: 579-281-766..

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართანებისმიერიპრობლემისმოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ალკოჰოლიზმის მკურნალობა მცენარეული საშუალებებით (შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში ფარულად) „პახმელია“, ზაპოი“, ნერვული აღგზნებულობა, ღვიძლის პრობლემები (ციროზი) და სხვა – მხოლოდ მცენარეული და ფუტკრის პროდუქტებით. ტელ: 599-45-88-66; 597-98-95-99; 557-35-22-65. სერტიფიცირებული ექიმი, ფიტოთერაპევტი ნინო. მისამართი: ჭავჭავაძის 3, აღმაშენებელზე.

ორი დინამო საბურთალოს გაექცა

დინამო (გთ)-საბურთალო 1:0

ბათუმი. ანგისას ბაზა

1:0 ფლამარიონი (74)

დინამო: ალავიძე, გეგეჭკორი, მ.კობახიძე, გაგოშიძე, ნავალოვსკი, ჯიღაური (გაფრინდაშვილი 70), მანჯგალაძე, მამუჩაშვილი, რამოსი (თევდორაძე 84), ფლამარიონი, დვალიშვილი (ტეიდი 77)

საბურთალო: კუპატაძე, მალი, მარგველაშვილი, სანდოხაძე, ლაკვეხელიანი (დიასამიძე 65), ჩაბრაძე, რეხვიაშვილი, კაკუბავა (ალთუნაშვილი 56), ტერა, კოხრეიძე, გაბედავა (როლოვიჩი 75)

გაძევება: ელვინ ტერა (62)

ტურის ცენტრალურ შეხვედრას ანგისას ბაზაშ უმასპინძლა, სადაც ბათუმის დინამომ საბურთალო მიიღო და მძიმე ბრძოლაში, მინიმალური ანგარიშით დაამარცხა. შეხვედრაში ერთადერთი და გამარჯვების მომტანი გოლი ბრაზილიელმა ლეგიონერმა ჯოვინო ფლამარიონმა გაიტანა.

სტადიონზე შეკრებილმა გულშემატკივარმა ორი განსხვავებული ტაიმი იხილა. შეხვედრის პირველ ნახევარში გუნდები ფრთხილობდნენ, თუმცა მეორე ტაიმში მასპინძლებმა შეტევებს მოუხშირეს და ერთ-ერთი მათგანი გოლითაც დასრულდა. ბათუმელთა უპირატესობა მას შემდეგ გახდა თვალსაჩინო, რაც სტუმრები მოედანზე ათი კაცის შემადგენლობით დარჩნენ. მატჩის მთავარმა არბიტრმა უხეშობისთვის ელვინ ტერა გააძევა.

ამ გამარჯვებით ბათუმის დინამომ ლიდერობა შეინარჩუნა.

ჩიხურა-დინამო (თბ) 0:2

სტეფანწმინდა. ცენტრალური

0:2 კუტალია (87პ, 90)

ჩიხურა: ჰამზიჩი, ჩიტეიშვილი (ჩიხლაძე 69), კამლაძე, მაისაშვილი, ლექვთაძე (დეკანოიძე 65), მუმლაძე, კორიფაძე, ჩიკვაიძე, მეგრელიშვილი (სარდალიშვილი 88), არდაზიშვილი, კაშია

დინამო: პერალესი, მონხილი, კარიკარი (კუხიანიძე 80), შულაია, პაპავა, ქიმაძე, კუტალია, იაშვილი, კაპლენკო, ნინუა, ნ.ქავთარაძე (დაფე 65)

კრისტალბეთ ეროვნული ლიგის 28-ე ტურის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა ივანწმინდაში საჩხერის ჩიხურასა და თბილისის დინამოს შორის გაიმართა. დაპირისპირება ორმხრივ შეტევებში მიმდინარეობდა. მატჩის მიმდინარეობისას ორივე გუნდს ჰქონდა გოლის გატანის კარგი შანსი, მაგრამ გოლის გატანა სტუმრებმა მოახერხეს – ჩიხურას კარის მიმართულებით დანიშნული თერთმეტმეტრიანი ლევან კუტალიამ გამოიყენა და დინამო დააწინაურა.

მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში კი კუტალიამ მეორეც გაიტანა, დუბლი გაიფორმა და თავის გუნდს უმნიშვნელოვანესი 3 ქულა მოუტანა. ამ გამარჯვებით დინამოელები გათამაშების ლიდერს ქულათა რაოდენობით ისევ მიუახლოვდნენ და ბათუმის დინამოსთან მხოლოდ ერთქულიანი ჩამორჩენა რჩებათ. ამასთან, მთავარ კონკურენტთან შედარებით, ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული.

ვიტ ჯორჯია-დილა 0:2

თბილისი. მიხეილ მესხი 2

0:1 ქისიევი (5სკ), 0:2 კოვტალიუკი (90)

ვიტ ჯორჯია: ისერგიშვილი, ნუსუევი (კიკალიშვილი 71), ნემსაძე, თათხაშვილი, ქისიევი, სეხნიაშვილი, ვარძელაშვილი, ზარიძე, მაქაცარია, ხუციანიძე, მუზაშვილი (ნანობაშვილი 65)

დილა: ჩოჩიშვილი, გიორბელიძე, მირცხულავა, იენდეუნტი, ე.სანტოსი, რაზმაძე (ქურდაძე 78), ფორტესი (კოვტალიუკი 86), კუცია, ნონიკაშვილი, სპანდერაშვილი (ნონდი 58), გოშთელიანი

როგორც მოსალოდნელი იყო, ეს შეხვედრა სტუმართა გამარჯვებით დასრულდა – გიორგი ნემსაძის გუნდმა 2:0 მოიგო.

ანგარიში თამაშში მე-5 წუთზე ვასილ ქისიევის ავტოგოლით გაიხსნა. მე-2 გოლი გორელებმა თამაშის ბოლო წუთზე გაიტანეს: ვიტ ჯორჯიამ მთელი გუნდით შეუტია და ბოლო წუთზე კუთხურის შემდეგ სწრაფი კონტრშეტევით ჩოჩიშვილმა კოვტალიუკი ცარიელი კარის წინ დატოვა და დილაში დაბრუნებულმა უკრაინელმა თავდამსხმელმა იოლად გაიტანა.

დილასთვის, რომელიც ჯერ კიდევ გასავარდნ ზონაში იმყოფება, ეს გამარჯვება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო, ხოლო ვიტ ჯორჯიას მდგომარეობა უკიდურესად რთულია.

რუსთავი-ლოკომოტივი 2:2

რუსთავი. ტექნიკური ცენტრი

1:0 ქავთარაძე (49), 2:0 ქოჩლაძე (74), 2:1 კირკიტაძე (81)

რუსთავი: მამარდაშვილი, ც.კაპანაძე, ლაცაბიძე, ნოზაძე, ვასაძე (ძალამიძე 77), სილაგაძე, ბ. ქავთარაძე (თევზაძე 73), კიტეიშვილი (სიჭინავა 64), ქოჩლაძე, იმნაძე, ბუგულოვი

ლოკომოტივი: ბულისკერია, ჭანტურია, გურეშიძე, შონია, კომახიძე, ინჯგია (დ.კირკიტაძე 63), სიხარულიძე, გოროზია (ანდრონიკაშვილი 59), დარჩმელია, მახარობლიძე (შეყილაძე 76), უგულავა

გაძევება: კომახიძე (56)

რუსთავმა საკუთარ მოედანზე თბილისის ლოკომოტივს უმასპინძლა და მორიგი მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვა. ვარლამ კილასონიას გუნდმა ანგარიში შეხვედრის 49-ე წუთზე ბექა ქავთარაძის მიერ გატანილი გოლით გახსნა. რამდენიმე წუთში მატჩის მთავარმა არბიტრმა მოედნიდან ირაკლი კომახიძე გააძევა და მასპინძლები რიცხობრივ უპირატესობაში აღმოჩნდნენ. შესაბამისად, მასპინძლებს არც ანგარიშში სხვაობის გაზრდა გასჭირვებიათ – 74-ე წუთზე თბილისელთა კარი ლაშა ქოჩლაძემ აიღო.

დარჩენილ დროში ლოკომოტივმა მხოლოდ ერთი ბურთის გაქვითვა მოახერხა – გოლი შეცვლაზე შესულმა დათო კირკიტაძემ 81-ე წუთზე გაიტანა.

სიონი-ტორპედო 2:0

ბოლნისი. თამაზ სტეფანია

1:0 ტატანაშვილი (19), 2:0 ხმალაძე (52)

სიონი: გოშაძე, უგრეხელიძე, თარხნიშვილი, ხმალაძე (ჩაჩუა 90), უგულავა (კახაბრიშვილი 85), ტატანაშვილი, ცაცკრიალაშვილი (გვარაძე 79), ჯაფიაშვილი, აფაქიძე, სუხიაშვილი, ივანიშვილი

ტორპედო: ასათიანი, ჭიჭინაძე (იონანიძე 61), ხურცილავა, მოსიაშვილი, მაჩაიძე, ნადარაია, გადრანი, ჩოგაძე (ნებიერიძე 74), ციცქიშვილი, გრიგალაშვილი (დოლიძე 56), ჩუკვურა

რამდენიმემატჩიანი მოუგებელი სერია დაასრულა ბოლნისის სიონმა – თემურ შალამბერიძის გუნდმა საკუთარ მოედანზე ქუთაისის ტორპედოს 2-ბურთიანი სხვაობით სძლია.

შეხვედრაში ანგარიში მე-19 წუთზე დიმიტრი ტატანაშვილმა გახსნა, ხოლო ორამდე უპირატესობა ლევან ხმალაძემ მატჩის 52-ე წუთზე გაზარდა.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (ბთ)	28	18	4	6	48-23	58
2.დინამო (თბ)	27	18	3	6	58-25	57
3.საბურთალო	27	15	6	6	46-29	51
4.ტორპედო	28	11	7	10	47-41	40
5.ლოკომოტივი	28	11	4	13	34-38	37
6.რუსთავი	28	8	9	11	32-42	33
7.ჩიხურა	28	7	11	10	34-33	32
8.დილა	28	8	7	13	28-37	31
9.სიონი	28	8	6	14	31-64	30
10.ვიტ ჯორჯია	28	4	5	19	12-38	17

რაგბი:

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ცნობილია

დასაწყისი მე-6 გვერდზე

ლაჩავაც, რომელიც მსოფლიო თასზე მეორედ ითამაშებს და უელსთან 50-ე კეპს მოიხვეჭს. მეორე ბურჯს, გურამ გოგიჩაშვილს მსოფლიო თასზე დებიუტი ექნება.

დებიუტანტები არიან ბექა საღინაძე და ოთარ გიორგაძე, რომლებიც შეცვლაზე მესამე ხაზში შევლენ. გამოცდილია იაპონიაში მყოფი ყველაზე ასაკოვანი ბორჯღალოსანი შალვა სუთიაშვილი, რომელიც მსოფლიო თასზე მესამედ თამაშობს და შეცვლაზე მეორე ხაზში შევა.

მარქაფაშია ახალგაზრდა 9 ნომერი გელა აფრასიძე, ხოლო ხაზის თამაშს ლაშა ხმალაძე გააძლიერებს, რომელსაც რამდენიმე პოზიციის დაფარვა შეუძლია. მისთვის იაპონიაში მიმდინარე ტურნირი მესამე მსოფლიო თასია.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასეთია:

15.სოსო მათიაშვილი, 14.მირიან მოდებაძე, 13.დავით კაჭარავა, 12.თამაზ მჭედლიძე, 11.გიორგი კვესელაძე, 10.თედო აბჟანდაძე, 9.ვასილ ლობჟანიძე.

1.მიხეილ ნარიაშვილი, 2.შალვა მამუკაშვილი, 3.ბექა გიგაშვილი, 4.გიორგი ნემსაძე, 5.კოტე მიქაუტაძე, 6.გიორგი თხილაიშვილი, 7.მამუკა გორგოძე, 8.ბექა გორგაძე.

მარქაფა: ლაშა ხმალაძე, გელა აფრასიძე, ჯაბა ბრეგვაძე, გურამ გოგიჩაშვილი, ლევან ჩილაჩავა, შალვა სუთიაშვილი, ბექა საღინაძე, ოთარ გიორგაძე.

ფეხბური

21 სექტემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონიგა

ლესტერი-ტოტენჰემი 2:1
ბარნლი-ნორვიჩი 2:0
სიტი-უოტფორდი 8:0
ევერტონი-შეფილდი 0:2
ნიუკასლი-ბრაიტონი 0:0

სატურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	5	5	0	0	15-4	15
2.სიტი	6	4	1	1	24-6	13
3.ლესტერი	6	3	2	1	8-5	11
4.ბორნმუთი	6	3	1	2	11-10	10
5.ტოტენჰემი	6	2	2	2	12-8	8
6.მანჩესტერი	5	2	2	1	8-4	8
7.ბარნლი	6	2	2	2	8-7	8
8.შეფილდი	6	2	2	2	7-6	8
9.ჩელსი	5	2	2	1	11-11	8
10.არსენალი	5	2	2	1	8-8	8
11.ვესტ ჰემი	5	2	2	1	6-7	8
12.საუთჰემპტონი	6	2	1	3	6-9	7
13.კრ.პალასი	5	2	1	2	3-6	7
14.ევერტონი	6	2	1	3	5-9	7
15.ნორვიჩი	6	2	0	4	9-14	6
16.ბრაიტონი	6	1	3	2	5-8	6
17.ნიუკასლი	6	1	2	3	4-8	5
18.ასტონ ვილა	5	1	1	3	4-6	4
19.ვულვზი	5	0	3	2	6-10	3
20.უოტფორდი	6	0	2	4	4-18	2

გერმანია. ბუნდესლიგა

ბაიერნი-კიოლნი 4:0
ლევერკუზენი-უნიონი 2:0
ჰერტა-პადერბორნი 2:1
ფრაიბურგი-აუგსბურგი 1:1
ვერდერი-ლაიფციგი 0:3

სატურნირო ცხრილი:

1.ლაიფციგი	5	4	1	0	13-3	13
2.ბაიერნი	5	3	2	0	16-4	11
3.ფრაიბურგი	5	3	1	1	11-4	10
4.შალკე	5	3	1	1	10-5	10
5.ლევერკუზენი	5	3	1	1	8-7	10
6.დორტმუნდი	4	3	0	1	13-5	9
7.ვოლფსბურგი	4	2	2	0	7-3	8
8.გლადბახი	4	2	1	1	5-4	7
9.აინტრახტი	4	2	0	2	5-5	6
10.ვერდერი	5	2	0	3	8-12	6
11.აუგსბურგი	5	1	2	2	7-11	5
12.ჰოფენჰაიმი	4	1	1	2	3-6	4
13.ფორტუნა	4	1	1	2	6-7	4
14.უნიონი	5	1	1	3	5-10	4
15.ჰერტა	5	1	1	3	5-11	4
16.კიოლნი	5	1	0	4	4-11	3
17.მაინცი	5	1	0	4	5-15	3
18.პადერბორნი	5	0	1	4	6-14	1

ესპანეთი. ჩემპიონატი დივიზიონი

ვილიარეალი-ვალიადოლიდი 2:0
ლევანტე-ეიბარი 0:0
ატლეტიკო-სელტა 0:0
გრანადა-ბარსელონა 2:0

სატურნირო ცხრილი:

1.გრანადა	5	3	1	1	11-5	10
2.სევილია	4	3	1	0	5-1	10
3.ატლეტიკო	5	3	1	1	5-4	10
4.ვილიარეალი	5	2	2	1	12-8	8
5.რეალი	4	2	2	0	9-6	8
6.ბილბაო	4	2	2	0	4-1	8
7.ბარსელონა	5	2	1	2	12-9	7
8.ლევანტე	5	2	1	2	6-5	7
9.სოსიედადი	4	2	1	1	4-3	7
10.ოსასუნა	5	1	4	0	4-3	7
11.ალავესი	4	1	2	1	2-2	5
12.ბეტისი	5	1	2	2	6-9	5
13.ვალიადოლიდი	5	1	2	5	4-7	5
14.სელტა	5	1	2	2	3-6	5
15.ვალენსია	4	1	1	2	5-7	4
16.მალიორკა	4	1	1	2	2-4	4
17.ესპანიოლი	4	1	1	2	2-6	4
18.ხეტაფე	4	0	3	1	3-4	3
19.ეიბარი	5	0	2	3	4-7	2
20.ლეგანესი	4	0	0	4	1-7	0

სერია ა

უდინეზე-ბრეშა 0:1
იუვენტუსი-ვერონა 2:1
მილანი-ინტერი 0:2

სატურნირო ცხრილი:

1.ინტერი	4	4	0	0	9-1	12
3.იუვენტუსი	4	3	1	0	7-4	10
2.ბოლონია	3	2	1	0	6-4	7
4.ნაპოლი	3	2	0	1	9-7	6
5.კალიარი	4	2	0	2	7-5	6
6.ატალანტა	3	2	0	1	7-6	6
7.ტორინო	2	2	0	0	6-5	6
8.ბრეშა	4	2	0	2	5-5	6
9.მილანი	4	2	0	2	2-3	6
10.რომა	3	1	2	0	8-6	5
11.ლაციო	3	1	1	1	5-3	4
12.ჯენოა	4	1	1	2	7-9	4
13.ვერონა	4	1	1	2	3-4	4
14.სასულო	3	1	0	2	7:7	3
15.პარმა	3	1	0	2	4:5	3
16.სპალი	3	1	0	2	4-5	3
17.უდინეზე	4	1	0	3	2-5	3
18.ლეჩე	3	1	0	2	2-6	3
19.ფიორენტინა	3	0	1	2	4-6	1
20.სამპდორია	3	0	0	3	1-9	0

საფრანგეთი. 1 ლიგა

მარსელი-მონპელიე 1:1
ბორდო-ბრესტი 2:2
მეცი-ამიენი 1:2
ნიმი-ტულუზა 1:0
ნიცა-დიჟონი 2:1
რეიმსი-მონაკო 0:0

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	5	4	0	1	11-2	12
2.ნიცა	6	4	0	2	10-8	12
3.მარსელი	6	3	2	1	8-7	11
4.რენი	5	3	1	1	6-3	10
5.ნანტი	6	3	1	2	6-5	10
6.ბორდო	6	2	3	1	9-7	9
7.ლილი	5	3	0	2	7-5	9
8.ანჟე	5	3	0	2	9-9	9
9.ლიონი	5	2	2	1	12-4	8
10.ტულუზა	6	2	2	2	6-8	8
11.რეიმსი	6	2	2	2	4-2	8
12.ნიმი	6	2	2	2	7-7	8
13.მონპელიე	6	2	2	2	5-5	8
14.ამიენი	6	2	1	3	7-9	7
15.ბრესტი	6	1	4	1	5-7	7
16.სტრასბური	6	1	3	2	5-7	6
17.სტ.ეტიენი	5	1	2	2	5-8	5
18.მეცი	6	1	1	4	5-10	4
19.მონაკო	6	0	3	3	7-14	3
20.დიჟონი	6	0	1	5	2-9	1

ჩუსეთი. ჩემპიონიგა

ახმატი-კრილია 1:1
ზენიტი-რუბინი 5:0
ტამბოვი-როსტოვი 2:1

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები

ნაზი თევზაძე

40 დღე გავიდა, რაც შენი მოულოდნელი წასვლით დიდი ტკივილი მოგვაყენე, ჩვენო ნაზი. უზომოდ დაგვაკლდი, როგორც პროფესიონალი ექიმი, ერთგული მეგობარი და გულისხმიერი თანამშრომელი. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული!

თსსუ აპოლონ ურუშაძის სტომატოლოგიური კლინიკის თანამშრომლები

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ჯოსვოხდი



1. კოლხი მედეას დედა; 2. ტერფზე ამოსაკრავი რკინა ალპინისტებისათვის; 3. კორეული ავტო; 4. „... ია“; 5. კანფეტი; 6. საწინდარი; 7. გარეული ღორი; 8. ლოჟები პარტერის დონეზე თეატრში; 9. ბრტყელი მაგარი ჩალის ქუდი; 10. მთის მასივი სომხეთსა და თურქეთში; 11. აჯანყება; 12. ჩოგბურთელი ... საფინი; 13. ფრანგული ყველი; 14. რომის პაპის გვირგვინი; 15. ჭადრაკის ფიგურა; 16. ქალაქი უზბეკეთში; 17. დავით თორაძის ბალეტი; 18. ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი თურქეთის ტერიტორიაზე; 19. ყვავილი; 20. ცენტრალური მცველი ფეხბურთში; 21. დამღა; 22. ქართული გაზეთი; 23. მამათა დიდი მონასტერი; 24. იგივეა, რაც კრინოლინი; 25. კარის ან ფანჯრის დასაკეტი რკინა; 26. ხეობა პირიქითა ხევსურეთში; 27. საწინააღმდეგოს აღმნიშვნელი წინსართი; 28. ბატონი (ესპანურად); 29. ... ჟირარდო; 30. ფეხბურთის მეფე; 31. სიცოცხლესთან დაკავშირებული, სასიცოცხლო; 32. ქალაქი ესპანეთში; 33. ხოხბის ბარტყი; 34. დედამამიშვილი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პომოლოგია; 2. მუხიანი; 3. ჯაკუზი; 4. ბურგი; 5. არაგვი; 11. სხალთა; 12. ნარიტა; 14. ნანა; 17. ბაირამი; 16. რუსთავი; 19. სეკანსი; 21. მუაში; 22. ფარჩა.

თარაზულად: 6. მოლეკულა; 7. ლაუდერი; 8. გროგი; 9. ელიავა; 10. ზაქსი; 13. სიონი; 15. გრენლანდია; 18. კაქტუსი; 20. ალბა; 21. მანათი; 23. პინკერტონი; 24. მახვში.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბაგეტი; 2. სეტერი; 3. განდი; 5. ლიდა; 6. ჩიტაია; 8. იზორია; 11. ფერეიდანი; 13. თურინჯი; 14. კოკაინი; 15. ბილაინი; 19. სურო.

თარაზულად: 1. ბუნდესტაგი; 4. აპალაჩი; 7. გამბიტი; 9. დროზერა; 10. სფერო; 12. კაროლინა; 16. ლანჩხუთი; 17. არბიტრი; 18. ბანდერასი; 20. ნეპტუნი; 21. ილი; 22. გორდონსი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

23 სექტემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9759

ევრო — 3.2860

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7223

100 რუსული რუბლი — 4.6659

ამინდის პროგნოზი 23 სექტემბერი



1 ოქტომბრიდან

რევაზ მიშველაძე

ტჩეული ნოველები

ორტომეული

ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

24 სექტემბრიდან

თენგიზ პაპუაშვილი

საინგილო

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

ეიმოჩი

•••

მასწავლებელი გაკვეთილზე:

– ბავშვებო, ამ სურათზე ხედავთ, რომ ნიანგი კვერცხებს დებს... ვინ მეტყვის, რატომ? აბა, გიგი, მიპასუხე.

– დაბერდა და აღარ სჭირდება...

•••

მამაკაცი ოფიციანტს ეკითხება:

– რა გაქვთ ვეგეტარიანული?

– ხორბლის არაყი, ქერის ლუდი, ყურძნის ღვინო და კონიაკი!

•••

პოლიციელი მხედველობას იმოწმებს. თვალის ექიმი ეკითხება:

– აბა, ეს რა ასოა?

პოლიციელი დუმს.

– ეს რა ასოა?

– პოლიციელი ხმას არ იღებს.

– რა, ვერ ხედავთ?

– ვხედავ, უბრალოდ, დამავიწყდა, რა ასოა.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– იცი, როდესაც ჩვენი დეპუტატები ამბობენ, რომ ევროპა გეებმა და პედოფილებმა დაიპყრეს, მე მათი მჯერა...

– რატომ?

– იმიტომ, რომ იქ მათი შვილები დამკვიდრდნენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გენო პეტრიაშვილი და ბექა ლომთაძე მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ

გენო პეტრიაშვილი ზედიზედ მესამედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. ყაზახეთის დედაქალაქ ნურსულთანში თავისუფალი სტილით ჭიდაობაში პეტრიაშვილმა ფინალში თურქი ტაჰა აკგული დაძაბულ და დრამატულ ბრძოლაში დაამარცხა.

თავიდან აკგულმა უპირატესობა მოიპოვა და 4:0 დაწინაურდა, მეორე პერიოდში კი გენომ ანგარიში გაათანაბრა. თუმცა, თურქმა იქვე მოახერხა 2-ქულიანი ილეთით უპირატესობის დაბრუნება და ამ დროს შეხვედრის დასრულებამდე მხოლოდ 39 წამი რჩებოდა.

მიუხედავად მწირი დროისა, ქართველმა ფალავანმა შეძლო და მეტოქეს მომგებიანი 2 ქულა აართვა.

ფინალამდე პეტრიაშვილმა ერთი ამოსუნთქვით გაიარა: ჯერ კოსოვოელი ეგზონ შალა (13:2) დაამარცხა, შემდეგ სირიელ ბაჯა ხუტაბას (14:4) მოუგო, ნახევარფინალში კი, უკრაინელ ოლექსანდრ ხოციანივსკის (6:2) სძლია.

საქართველოს პირველი მედალი ირაკლი მწითურმა მოუტანა, რომელიც ბრინჯაოს მედალს შესწვდა. ქართველმა ფალავანმა მე-3 ადგილისთვის ბრძოლაში ყაზახი ნურგალი ნურგაიპულის დაძაბულ შეხვედრაში 2:1 აჯობა.

მწითურმა ასპარეზობა მერვედფინალიდან დაიწყო და უნგრელი ბენდეგუზ ტოტი ადვილად (8:0) დაამარცხა. მეოთხედფინალში ჩვენებურმა იაპონელ ტაკუმა ოცუს (5:0) სძლია, თუმცა ნახევარფინალში ამერიკელ მაიკლ კოქსთან ვერაფერი გაახერხა (0:3).

გუშინ, 21 სექტემბერს, ჩემპიონობა კიდევ ერთმა ქართველმა მოიპოვა. ბექა ლომთაძემ 61 კგ წონის კატეგორიის ფინალში რუსი მაგომედრასულ იდრისოვი 6:1 დაამარცხა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

ბექამ 1/8-ფინალში მოლდოველ მიჰაი ეშანუს მოუგო – 10:0. შემდეგ ეტაპზე, 1/4-ფინალში ამერიკელი ტილერ ლი გრაფი დაამარცხა 3:1, ხოლო ნახევარფინალში ინდოელ რაჰულ ბალასაჰებ ავარეს 10:6 აჯობა.

ბექა ლომთაძეს აქამდე 3 ფინალი ჰქონდა წაგებული – 2 ევროპისა და 1 მსოფლიო ჩემპიონატზე. ახლა კი დამსახურებულად მოიპოვა პრესტიჟული ტიტული.

მოამზადა მისეულ ჟორჟოლიანმა

კაილი ჯენერმა დის თეთრეული მოირგო



ცნობილმა მოდელმა და მეწარმემ, მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერმა კაილი ჯენერმა გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელშიც ის თავისი დის კიმ კარდაშიანის მარკის Skims-ს თეთრეულშია გამოწყობილი და ამით საკუთარი თაყვანისმცემლების არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ფოტოსურათი ინსტაგრამში გოგონა გვერდზე გამოქვეყნდა.

სურათზე ჯენერი სარკის წინ შავი ფერის კორექტირებად კომბინეზონში პოზირებს. მისი ზოგიერთი თაყვანისმცემელი იმან აღაშფოთა, რომ კაილი თავისი დის ბრენდის რეკლამას ეწევა.

– თქვენი თაყვანისმცემლები თქვენი ერთგული ვართ და არ გვსურს, ფული ვხარჯოთ იმაში, რის რეკლამასაც ეწევით, – განაცხადა ერთ-ერთმა ფანმა.

– შემოტკეცილი თეთრეული მხოლოდ მასზე ჩანს კარგად, ვინაიდან მას ქვიშის საათის ფორმის ფიგურა აქვს და, არა მგონია, რომ ის ასევე კარგად გამოიყურებოდეს საშუალო სტატისტიკური მომხმარებლის ფიგურაზეც, – დაწერა მეორემ.

– არა მგონია, რომ მასეთ თეთრეულში ჩვენც ისევე კარგად გამოვიყურებოდეთ, როგორც თქვენ, – აღნიშნა მესამემ.

კაილი ჯენერის ამ ფოტომ ექვს მილიონზე მეტი მოწონება მიიღო.

იაგუარისა და ალიგატორის სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლა ვიდეოზე გადაიღეს

ამერიკის ნიუ-მექსიკოს შტატის ქალაქ ალბუკერკის მცხოვრები იაგუარისა და კაიმანის ჯიშის ალიგატორის ორთაბრძოლის თვითმხილველი გახდა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

58 წლის ფოტოგრაფი კევინ დული პანტანალის ნაკრძალის მახლობლად ნავით მდინარეზე სეირნობდა. მამაკაცის ყურადღება ხის ტოტზე მჯდომმა იაგუარმა მიიპყრო, რომელიც წყალში მსხვერპლს – კაიმანს უთვალთვალებდა. დულიმ მაშინვე ამოიღო ვიდეოკამერა და გადაღება დაიწყო. ფოტოგრაფის მტკიცებით, იაგუარი დაახლოებით ერთი საათი იჯდა გაუნძრევლად თავის საფარში და წამითაც კი არ აცილებდა მზერას პოტენციურ მსხვერპლს.

საბოლოოდ ფოტოგრაფმა მოახერხა, გადაეღო სამი მეტრის სიმაღლიდან იაგუარის ნახტომი, რასაც მისი და რეპტილიის ათწუთიანი ორთაბრძოლა მოჰყვა.

– შთამბეჭდავი სანახაობა იყო. იაგუარი წყალში ჩახტა, კაიმანს ბრძოლა გაუმართა და საბოლოოდ დაამარცხა, – განაცხადა დულიმ. მას შემდეგ, რაც ალიგატორმა წინააღმდეგობის გაწევა შეწყვიტა, იაგუარმა ყელის არეში უკბინა იმაში დასარწმუნებლად, რომ მოწინააღმდეგე ნამდვილად მკვდარი იყო.

– გულახდილად ვიტყვი, მსგავსი რამ არასოდეს მინახავს, მიუხედავად იმისა, რომ უკვე დიდი ხანია, ცხოველების გადაღებით ვარ დაკავებული, – განაცხადა ფოტოგრაფმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დემნა გვასალია: „მნიშვნელოვანია, უარის თქმა იცოდე“



დიზაინერი დემნა გვასალია უცხოელი ჟურნალისტების ერთ-ერთი ყველაზე სასურველი რესპონდენტია.

მან ერთ-ერთ გამოცემასთან თავისი ცხოვრების სტილზე ისაუბრა.

– ფუფუნებაში ცხოვრობ?

– მანქანას თავად ვატარებ, მძღოლი არ მყავს. სახლში საჭმელს თავად ვიმზადებ, მაგრამ ფული, რა თქმა უნდა, კარგია. ლამაზ ადგილებში ვმოგზაურობ და ბევრი კარგი რაღაცის შეძენა შემიძლია.

– როგორი სახლი გაქვს?

– კლასიკურია, მაგრამ – თანამედროვეც. ტბასთან არის ლამაზი ხედით. ჩემი აივნიდან ხედი მდელოზე და ტყეზე გადის, იქ ცხოველებიც არიან. ერთხელ აივნიდან ულამაზესი მელია დავინახე.

– გქონია სამსახური, რომლის გამოც თავი დამცირებულად გიგრძნია?

– არა, მაგრამ უკანონო სამსახური მქონია.

– რას აკეთებდი?

– ვერ გეტყვი, მეშინია.

– ესე იგი ნარკოდილერი იყავი...

– ...

– როგორც გავიგე, ახლა გინდა, ნორმალური ცხოვრება შეინარჩუნო და შემდეგ გადადგა მომავალი ნაბიჯი.

– დამოუკიდებელი ვარ და შემიძლია, ისეთი გადაწყვეტილებები მივიღო, რომლებიც, პირველ რიგში, ჩვენთვის არის კარგი. ვმოგზაურობ, საღამოობით ჩემს ბოიფრენდთან ერთად ტელევიზორში სისულელეებს ვუყურებ. მოდამ არ უნდა გაქციოს ადამიანად, რომელსაც ახლობლებისთვის დრო არასდროს აქვს. მნიშვნელოვანია, უარის თქმა იცოდე.

– შაბათ-კვირას როგორ ატარებ?

– გააჩნია.

– მაგალითად, ახლა შაბათ-კვირისთვის რა გაქვს დაგეგმილი?

– რამეს შევუკვეთ, დივანზე წამოვწვები და იუთუბზე დოკუმენტურ ფილმებს ვუყურებ. როგორ მოსაწყენადაც არ უნდა ჩანდეს, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

სიკო ჭუმბურიძე და ეკა აბშილავა „კომედი შოუში“ დაბრუნდნენ

იუმორისტები სიკო ჭუმბურიძე და ეკა აბშილავა ტელეკომპანია რუსთავი 2-ში, „კომედი შოუში“ დაბრუნდნენ.

მათ გუნდის დანარჩენ წევრებთან ერთად უკვე ჩაწერეს პირველი გადაცემა და მაყურებელთან შესახვედრად ემზადებიან.

„კომედი შოუს“ გუნდის წევრები არიან მსახიობი თაკო აბაშიძე სერიალიდან „ჩვენი ოფისი“ და ქეთი ხუციშვილი სერიალიდან „ჩემი ცოლის დაქალები“.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

23 სექტემბრისთვის

ვერძი – კრიტიკული დღეა. ფინანსებს გაუფრთხილდით. ბედი კვლავ გამოცდას გიწყობთ. თავი აარიდეთ კომერციულ საქმიანობას. გარშემომყოფებთან კამათი კატეგორიულად გეკრძალებათ. **კურო** – ნებისმიერი სამუშაოს შესრულებისას მაქსიმალურად ყურადღებით იყავით. ნუ იაქტიურებთ. შორს გამგზავრება სასურველი არ არის. **ტყუპები** – პლანეტები გაფრთხილებენ – ახალ ნაცნობს არ ენდოთ. არ გარისკოთ ფინანსური ოპერაციებისას, თორემ დამარცხდებით. **კირჩხიბი** – იდეების რეალიზებას შესანიშნავად ახერხებთ. თქვენი ენერგიულობითა და სპონტანურობით გარშემომყოფებს გააოცებთ. სოციალური სტატუსი უკეთესობისკენ იცვლება. **ლომი** – ხელმძღვანელობა თქვენი მუშაობით უკმაყოფილოა, რაც, შესაბამისად, თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზეც აისახება. ერიდეთ უსარგებლო კამათსა და საქმის გარჩევებს. **ქალწული** – პირად ცხოვრებაში შეცდომის დაშვების უფლება არ გაქვთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შედეგი სავალალო იქნება. **სასწორი** – კეთილისმყოფელი და წარმატებული დღეა. ნებისმიერ საქმეს თამამად შეეჭიდეთ. მარტოხელებმა, შესაძლოა, ცხოვრების თანამგზავრი იპოვოთ. **ღრიანკალი** – პასიური, მძიმე დღეა. ჩვეულებრივი, რუტინული სამუშაო გელით. მოსალოდნელია აგრესია ოპონენტებისა და არაკეთილმოსურნე ადამიანებისგან. **მშვილდოსანი** – კრიტიკული დღეა. პროფესიულ სფეროში ვარსკვლავები აქტიურობას არ გირჩევენ. ასევე ერიდეთ რისკთან დაკავშირებულ კომერციულ ოპერაციებს. **თხის რქა** – მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება დღეს დაუშვებელია. დიდია შეცდომის ალბათობა. თქვენს ცხოვრებაზე მერკურის ზეგავლენა ფინანსურ კრახს გამოიწვევს. **მერწყული** – სასიცოცხლო პოტენციალი კვლავ მაღალ დონეზე გაქვთ. ნებისმიერ საქმეს თამამად მოჰკიდეთ ხელი. საპირისპირო სქესი თქვენით დაინტერესებულია. **თევზები** – დღევანდელი დღე გაორებული და წინააღმდეგობებით აღსავსეა. თავს ნუ მოიტყუებთ. ფულთან დაკავშირებით სიფრთხილე გამოიჩინეთ. საღამოს აუცილებლად დაისვენეთ, უმჯობესია, თუ განმარტოვდებით.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი



თარაზულად: 5. ღია წირი (მათემ.); 6. სისხლის მიმოქცევის ხელშემწყობი პრეპარატი; 9. იაპონური სამოსელი; 10. ერთ-ერთი ფიგურა (ნახატი) ბანქოში; 11. ... ფრეინდლიხი; 13. ჯარების მართვის ორგანო; 15. მცენარეული შხამი; 18. ვარდობისთვე; 21. უზარმაზარი გადაშენებული ქვეწარმავალი; 22. სამკელი იარაღი; 23. სესილია თაყაიშვილის კინოროლი.

შვეულად: 1. ქალის თავსაბურავი; 2. სოფელი საგარეჯოს რაიონში; 3. მუსიკოს-შემსრულებელთა ოთხეული; 4. ნოეს ...; 7. ქიმიური ელემენტი, ლითონი; 8. გულყვითელა (მგალობელი ფრინველი); 12. უმაღლესი სასწავლებლის მოსწავლე; 14. ხის ზღაპრული ბიჭუნა; 16. ახალი წელი გურიაში; 17. სახურავი მასალა; 19. ...-დიდება; 20. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში.

შეადგინა ოლივერ კოხიამ